საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 6 დეკემბერი. 2019 წ. №241 (8907) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სენატი აშშ-ის პრეზიდენტს მოუწოდებს, საჯაროდ მიმართოს რუსეთს, შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებას განიხილავენ. როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, კანონპროექტს, რომელიც მოსკოვის წინააღმდეგ ახალი შეზღუდვების დაწესებას ითვალისწინებს, მომდევნო კვირაში, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე უყრიან კენჭს.

კანონპროექტში სახელწოდებით, „რუსეთის აგრესიისგან ამერიკული უსაფრთხოების დაცვის აქტი“ საუბარია საქართველოს შესახებაც.

კერძოდ, პროექტით მოუწოდებენ აშშ-ის ადმინისტრაციას, „რუსეთის გავლენის დასაძლევად სპეციალური ფონდი“ შექმნას. ფონდის მოცულობა 2020-2021 წლის ფისკალური წლისთვის 250 მილიონი დოლარია.

„ფონდის შექმნა აუცილებელია, რათა პასუხი გაეცეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინაში შეჭრის, ოკუპაციის შედეგად შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისს, დესტაბილიზაციას“, — ნათქვამია დოკუმენტში.

ამავე დროს, კანონპროექტი მოუწოდებს აშშ-ის პრეზიდენტს, საჯაროდ მიმართოს რუსეთს, შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.

„პრეზიდენტმა საჯაროდ უნდა მოუწოდოს რუსეთის მთავრობას, დაუბრუნოს კონტროლი ყირიმის ნახევარკუნძულზე უკრაინას, შეწყვიტოს რუსეთის მიერ მართული ძალების ძალადობის მხარდაჭერა უკრაინის აღმოსავლეთში, დაასრულოს საქართველოს ოკუპაცია და რუსეთის ხელმძღვანელობით მოქმედი ძალების მხარდაჭერა, როგორც საქართველოში, ისე მოლდოვაში“, — ნათქვამია კანონპროექტში. კანონპროექტს აშშ-ის სენატში 11 დეკემბერს უყრიან კენჭს.

ვერა და ვერ მოვირგეთ ⑥ ევროპელი კულტურიების მიერ შეკერილი სამოსი...

პროცესები მართლა უმართავი რომ არ გახდეს!

რუსეთის „დიდ შვიდეულში“ არ დაუშვებენ

ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა რეზოლუცია „დიდ შვიდეულში“ რუსეთის არდაშვების შესახებ.

რეზოლუცია ეწინააღმდეგება გაერთიანებაში რუსეთის დაბრუნებას მანამ, ვიდრე მოსკოვი არ დაიწყებს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას.

ალბიო საირესის მიერ ინიცირებულ დოკუმენტს მხარი 339-მა კონგრესმენმა დაუჭირა, წინააღმდეგი კი 77 იყო. სხდომაზე რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაზეც ისაუბრეს.

წინასაახალწლო კამპანია „ნუ მოჭრი, მორთე“ - დაიწყო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი წინასაახალწლოდ უკვე მეოთხედ იწყებს მასშტაბურ საინფორმაციო კამპანიას „ნუ მოჭრი, მორთე“, რომლის მიზანს წიწვოვნების ჭრის პრევენცია, ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

გაუტეხელი კაცი ⑤



რატომ ვართ ⑦ გაუნათლებლები?!

ნავთობ-პროდუქტების ქარხანა რუსთაველების ცხვირწინ!.. 4

ახალი თამაშის წესები ენერგეტიკაში

„ბირჟის შექმნა კონკურენტულ გარემოს წარმოშობს“

ვინ იყო უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკის მფლობელი?

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სასულიერო პირთან ერთად დაკავებულ რომან მალანიას აღმკვეთ ღონისძიებად 10 000-ლარიანი გირაო შეუფარდა. როგორც დაკავებულის უფლებადამცველმა ჯიტა გულუამ განაცხადა, საქმის მასალების მიხედვით, ჩანთა, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება იყო, მალანიას არ ეკუთვნოდა.

ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა ათონის მთაზე მოღვაწე ბერი გიგა ქავთარაძე და რომან მალანია 4 დეკემბერს დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს. დაკავებულის უფლებადამცველის ინფორმაციით, ბერი დანაშაულს აღიარებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალი დოკუმენტი

ბრატისლავაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ასოცირებული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ევროკავშირთან სამი ასოცირებული ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) ევროპული ინტეგრაციის შესახებ ერთობლივ განცხადებას მოაწერეს ხელი. ეს პირველი ერთობლივი პოლიტიკური განცხადებაა ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხზე, რომელსაც სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები აწერენ ხელს.

ეს განცხადება მინისტრებმა ევროკავშირის ახალ უმაღლეს წარმომადგენელს – ჟოზეფ ბორელს გადასცეს.

განცხადება ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 10 წლისთავსა და მის მომავალს ეძღვნება და ასოცირებული ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის ამბიციურ დღის წესრიგს ასახავს. მასში ხაზგასმულია, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ წევრ ქვეყნებში პოზიტიური ცვლილებების საშუალებაა, რომელიც პარტნიორებს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობას აძლევს თითოეული მათგანის მისწრაფებების და ინტერესების შესაბამისად.

აღსანიშნავია, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ინიციატივა, დაფუძნდეს „ევროკავშირი+სამი ასოცირებული ქვეყნის“ დიალოგის ფორმატი ტრანსპორტის, ენერგეტიკის და სხვა დარგობრივი ინტეგრაციის მიმართულებებით. გარდა ამისა, სამი ქვეყანა გამოდის ინიციატივით, რომ ასოცირებულ ტრიოს (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) მიეცეთ შესაძლებლობა თანდათანობით, სრულად ისარგებლონ ევროკავშირის ოთხი თავისუფლებით (საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება). განცხადება ხაზგასმით აღნიშნავს სუვერენული ქვეყნების უფლებას, თავად განსაზღვრონ საკუთარი მომავალი.

ელიზაბეთ რუდი: აშშ მხარს უჭერს მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დიალოგს

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ელიზაბეთ რუდის განცხადებით, აშშ შეშფოთებულია საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობის ზრდით. სწორედ ამიტომ, აშშ მხარს უჭერს მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დიალოგს. ამის შესახებ ელიზაბეთ რუდმა ქუთაისში განაცხადა, სადაც ათასწლეულის ფონდის მიერ რეაბილიტირებული მე-17 საჯარო სკოლა დაათვალიერა.

„აშშ შეშფოთებულია პოლიტიკური დაძაბულობის ზრდით საქართველოში. სწორედ ამიტომ მხარს ვუჭერთ, დაიწყოს დიალოგის პროცესი მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის. რა თქმა უნდა, ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას მშვიდობიანად და კონსტიტუციის ფარგლებში. ასევე იმედი გვაქვს, რომ პოლიცია თანაბრად უპასუხებს ყველა ამ ნიშანს“, – განაცხადა ელიზაბეთ რუდმა.

ელიზაბეთ რუდმა ასევე კომენტარი გააკეთა აჯანყებასთან დაკავშირებით ნიკა გვარამიას სტატუსზე. **„საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აშშ-მა დიდი ინვესტიცია ჩადო იმაში, რომ საქართველოში განვითარდეს დემოკრატიული ინსტიტუტები. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს პოლიტიკური პროცესისა და წესების თანახმად“,** – განაცხადა ელიზაბეთ რუდმა.

„სუხიშვილები“ ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით კოლეგებს მიმართავენ

ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. „სუხიშვილები“ მიმართვას ავრცელებენ, სადაც თხოვენ კოლეგებს მსოფლიოს გარშემო, დაეხმარონ ამ პროტესტის გავრცელებაში.

„ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ ეს ის სიტუაციაა, რომელიც საერთაშორისო ყურადღებასა და ჩართულობას ითხოვს, რათა მოხდეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

საქართველოს ეროვნულ ბალეტს სურს, გამოხატოს პროტესტი რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით. ჩვენ ასევე ვთხოვთ ჩვენს კოლეგებს მსოფლიოს გარშემო, დაგვეხმარონ ამ პროტესტის გავრცელებაში“, – აღნიშნულია მიმართვაში. საქართველოს მოქალაქე, თბილისში მცხოვრები ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი ოკუპირებული ორჭოსანის სიახლოვეს 9 ნოემბერს დააკავეს. ექიმის წინააღმდეგ დე ფაქტო რეჟიმმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა ვაჟა გაფრინდაშვილს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

ნათია თურნავა: წიაღის სექტორის რეფორმა აუცილებელია!

მთავრობის სხდომაზე საქართველოს წიაღის სექტორის განვითარების სტრატეგია დამტკიცდა. როგორც სხდომის დასრულების შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ მედიასთან განაცხადა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც წიაღის სექტორი ვითარდება და უახლოესი წლების მანძილზე განვითარდება.

საქართველოს წიაღის სექტორის განვითარების სტრატეგია მთავრობის სხდომაზე ერთობლივად წარადგინეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მისმა სსიპ საქართველოს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ, ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორული რეფორმაა, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს. ნათია თურნავას ინფორმაციით, რეფორმა არაერთ კომპონენტს მოიცავს, თუმცა, მთავარი მიზანი ადგილობრივი, ქართული მრეწველობის განვითარება, ახალი ინვესტიციების მოზიდვა და ახალ სამუშაო ადგილების შექმნაა.

„თუ აქამდე წიაღის სტრატეგიაში ჩვენი წარმატების ძირითად კრიტერიუმად მაინც იყო მიჩნეული, რამდენადაა ათვისებული წიაღისეული და რამდენად ინტერესდებიან ინვესტორები წიაღის მოპოვების ლიცენზიებით, ახლა აქცენტი მოპოვებასთან ერთად გადამუშავებაზეც გვაქვს – ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ღირებულება შეიქმნას ქვეყნის შიგნით, ექსპორტზე გავიდეს არა უბრალოდ მოპოვებული წიაღისეული, არამედ მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქცია“, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

მასწავლებლებს, პენსიონერებს, ჯარისკაცებსა და პოლიციელებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ!

ამ კომენტარით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ პრემიების გაზრდის საკითხზე დასმულ კითხვას უპასუხა.

„ჩვენ როდესაც ვამუშავებდით და პარლამენტში წარვადგინეთ ბიუჯეტი, ნათლად იყო გაცხადებული, მოსახლეობის და საჯარო მოხელეების კატეგორიები იქნებოდა და 2020-შიც იქნება ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. მათ შორის იყვნენ მასწავლებლები, პენსიონერები, ჯარისკაცები და პოლიციელები. შესაბამისად, ეს არის სწორედ ამის დასტური, რომ მთავარი აქცენტი კეთდება პოლიციელების, ჯარისკაცებისა და სხვა რამდენიმე კატეგორიის კეთილდღეობაზე“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

ბიზნესისთვის შეთავაზებული 100 საინვესტიციო ობიექტიდან ექვსი უკვე გაიყიდა

საუბარია თბილისში, ბათუმსა და კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში მდებარე მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებზე. ქონების რეალიზაციის შედეგად, სახელმწიფო რვა მილიონ ლარზე მეტს მიიღებს.

ვასო გოძიაშვილის №67-ში მდებარე 13761 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 3 085 000 ლარად გაიყიდა (საწყისი ფასი 3 080 000 ლარი იყო), ხოლო ვასო გოძიაშვილის №99-ში მდებარე 2992 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 1 177 000 ლარად (საწყისი ფასი 787 ათასი ლარი).

პეტრე იბერის №17-ში არსებული 1411.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, ასევე მიმდებარედ არსებული 1354 კვ.მ მიწის ნაკვეთი 1 888 000 ლარად გაიყიდა (საწყისი ფასი 790 000 ლარი).

თბილისში, ბესარიონ ჟღენტის ჩიხი №13-ში არსებული 2138.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 864 000 ლარად გაიყიდა (საწყისი ფასი 672 000 ლარი).

ბათუმში, ავგიას ქუჩა №64ა-ში არსებული 9840.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 782 000 ლარად გაიყიდა (საწყისი ფასი 780 000 ლარი).

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ წინარეხში მდებარე 143927.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 294 000 ლარად გაიყიდა (საწყისი ფასი 292 000 ლარი). ეკონომიკის სამინისტრომ ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს 100 საპრივატიზაციო ობიექტი 29 ნოემბერს შესთავაზა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასავლეთ სარდლობის სამხედრო ბაზებზე

დასავლეთ სარდლობის სამხედრო ბაზებზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყო. იტყობინება თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

უწყების ინფორმაციით, ჯარის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

მინისტრის გადაწყვეტილებით ყაზარმების, სასადილოების, სასაწყობე და დამხმარე ნაგებობების კაპიტალური რეაბილიტაცია-მშენებლობა, ღია და დახურულ სივრცეში მულტიფუნქციური სტადიონებისა და სპორტდარბაზების მოწყობა 2020 წლის ბოლომდე დასრულდება.

შენობების რეაბილიტაციის გარდა, მიმდინარეობს სველი წერტილების რემონტი, შემოღობვისა და გარე განათების აღდგენა, საინჟინრო კომუნიკაციებისა და შიდა გზების მოწესრიგება. უახლოეს მომავალში დაგეგმილია კიდევ ერთი ყაზარმის, სპორტული მოედნის, საყარაულო შენობის, საკონტროლო გამშვები პუნქტისა და ავტოპარკის მშენებლობა.

პროცესები მართლა უმართავი რომ არ გახდეს!

არჩევნებთან დაკავშირებული კრიზისიდან გამოსავალი არსებობს!

საქართველოში **არსებული ერთპალატიანი პარლამენტის ყველა ნაკლოვანება გამოვლენილია — ის, რომ პარლამენტის წევრები ერთმანეთისგან უფლებამოსილებით არაფრით არ განსხვავდებიან, გარდა პარლამენტში მათი არჩევის მექანიზმისა, რეალურად ცვლის პოლიტიკურ ძალთა არჩევნების შედეგად მიღებულ პროპორციას — როგორც წესი, მმართველი პარტიის სასარგებლოდ, მაჟორიტარი დეპუტატების ხარჯზე. შედეგად, მმართველი პარტია ღებულობს საკონსტიტუციო უმრავლესობას, ხოლო, ქვეყანა, ფაქტობრივად ერთპარტიულ მმართველობის სისტემას, რის გამოც ვერ ხერხდება მემკვიდრეობით მიღებული საბჭოთა სისტემის არტახებიდან დემოკრატიული განვითარების გათავისუფლება.**

ამ სისტემის დაშლა ქვეყნის განვითარების ინტერესებშია.

ამ სისტემის დაშლის აუცილებლობა „ქართულმა ოცნებამ“ დაასაბუთა და ამ მიზნით, მათ მიერ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა პროპორციული არჩევნების სისტემის ნორმა, ოღონდ 2024 წლიდან.

ამ ნორმის 2020 წლისთვის გადმოტანის გამო შეიქმნა კრიზისი...

14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში პროპორციული არჩევნების 2020 წლისთვის გადმოტანის საკითხის უმრავლესობის მიერ ჩაგდებით ხელისუფლებამ გადმოტანის შესახებ ქვეყნის შიგნით და გარეთ მიცემული დაპირება ვერ შეასრულა!

კრიზისის დაძლევა ხელისუფლებამ უცებ ვერ მოახერხა, რამაც ქრონიკული ხასიათი მიიღო და სოციალური დინამიკა შეიძინა.

კრიზისის პირველ ფაზაზე (14-24 ნოემბერი): საკითხის ჩაგდება მმართველი პარტიის — „ოცნების“ მხრიდან დაბრალდა მაჟორიტარი დეპუტატების „ბუნტს“, მათ გამოთქვეს წუხილი მომხდარის გამო და საშინაო და საგარეო პროტესტის მიუხედავად „თემა დახურეს“.

კრიზისის მეორე ფაზაზე (25-30 ნოემბერი): პროტესტისა და საერთაშორისო რეაქციის გამო, როდესაც ამ უკანასკნელთა სიტყვიერი პოზიცია ეტყობა გადავიდა მოქმედების ფაზაში, ხელისუფლებამ „დახურული თემა“ გახსნა — დიალოგზე დათანხმდა.

30 ნოემბერს დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საერთაშორისო მედიატორობით შედგა, მაგრამ, უშედეგოდ.

კრიზისი 1 დეკემბრიდან შევიდა მესამე ფაზაში, როდესაც პროცესებმა დაიწყო განვითარება ორი მიმართულებით:

პირველი მიმართულება დაკავშირებულია კვლავ საარჩევნო სისტემასთან, თუმცა, ადგილი აქვს კამათის ერთგვარ ტრანსფორმაციას: მოხდა საარჩევნო სისტემის შესახებ კამათის საკანონმდებლო ნორმებზე კამათის დონემდე დაყვანა.

ოპოზიცია ცდილობს, დაასაბუთოს, თითქოს შესაძლებელია სამართლებრივი სტატუს კვოს შეუცვლელად პროპორციული არჩევნების საკონსტიტუციო ცვლილების ჩანაცვლება, ე.წ. „გერმანული ვარიანტის“ ადაპტირებით, რითაც, მათი აზრით, აღსრულდება აგრეთვე ხელისუფლების დანაპირებიც.

ხელისუფლება გადავიდა ოპონენტის პოზიციაში და ამტკიცებს, რომ შემოთავაზებული მოდელი არ შეესაბამება კონსტიტუციას!

შეიქმნა აბსოლუტურად კაზუისტიკური სიტუაცია: თითქოს ხელისუფლებიდან ოპოზიციამ გადაიბარა ვალდებულება — მოძებნოს გამოსავალი და თითქოს ეს გამოსავალი საკონსტიტუციო ცვლილების გარეშე უნდა გამოინახოს!

პროცესების ვექტორი ვითარდება ე.წ. აქციებსა და კონტრაქციებს შორის ძალისმიერი დაპირისპირებების სახით, სადაც საარჩევნო სისტემის საკითხი საერთოდ ამოვარდნილია და არ განიხილება.

> მოვლენების ამ განვითარების დინამიკა შეიცავს იმის დიდ რისკს, რომ პროცესები განვითარდეს აგრესიული დაპირისპირების მიმართულებით, სადაც საარჩევნო სისტემის საკითხი საერთოდ დაიკარგება, ხოლო, პროცესები გახდება უმართავი.

შედეგად მივიღებთ, ან ვადამდელ არჩევნებს მოქმედი კანონმდებლობითა და მთელი იმ მახინჯი და არსრულფასოვანი ინფრასტრუქტურით, რაც აქამდე იყო (დაწყებული დაუზუსტებელი სიებითა და დამთავრებული „კარუსელებით“), ან უარესს — სამოქალაქო დაპირისპირებას!

ამ ფონზე, დებატები ე.წ. „გერმანულ მოდელთან“ დაკავშირებით წარმოადგენს დროის ფლანგვას, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს იმ მდგომარეობამდე, როდესაც კონსტიტუციური ცვლილებები შეუძლებელი იქნება.

ღვივდება ეჭვი, რომ მოვლენის ასეთი განვითარება, ნებსით თუ უნებლიეთ, დაპირისპირებული მხარეების ერთობლივი ხელშეწყობის შედეგია!

არადა, სამართლებრივი სივრციდან პროცესების გასვლა არ უნდა იქნას დაშვებული.

ხელისუფლებამ უნდა დაიბრუნოს გამოსავლის გზის პოვნის ფუნქცია, შეაჩეროს დაპირისპირების ესკალაცია და არც ერთი — პირდაპირი თუ ირიბი გზით არ წაახალისოს იგი.

გამოსავალი მაშინ მოიძებნება თუ ყველა მხარეს და, უპირველესად, ხელისუფლებას, ნამდვილად სურს ეს!

ეს გამოსავლის მოძებნისთვის მთავარი დათქმა, აუცილებელი პირობაა.

მეთოდოლოგიური მიდგომა კი იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია მოცემული, ისევე როგორც ნებისმიერი კრიზისის გადაწყვეტა, პრობლემის არსებულ სიბრტყეზე.

არსებული საკანონმდებლო კრიზისი მოცემული საკანონმდებლო განლაგების შეუცვლელად, თანაც საკონსტიტუციო ცვლილების გარეშე ვერ დაიძლევა, თუ სხვა თანხმობა არ იქნება მიღწეული. ამიტომ, დროის ფაქტორი უმნიშვნელოვანესია.

საკონსტიტუციო ცვლილებისთვის მარტო აუცილებელი პირობა არ კმარა. „ქართულ ოცნებას“, როგორც ჩანს, საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებისთვის პარლამენტის 113 მხარდამჭერის მობილიზაციის რესურსი აღარ გააჩნია.

საკონსტიტუციო ცვლილების უზრუნველსაყოფად საჭიროა ისეთი საკანონმდებლო ვარიანტი, რომელშიც დეპუტაციის ყველა ჯგუფის ინტერესები იქნება გათვალისწინებული.

დღეისათვის ასეთ ინტერესებად ჩანს:

— ხელისუფლებისთვის — პარლამენტის არჩევნების არსებული სისტემის შენარჩუნება;

— მაჟორიტარი დეპუტატებისთვის — მაჟორიტარული არჩევნების შენარჩუნება;

— ოპოზიციური პარტიებისა და აქტივისტებისთვის — პროპორციული არჩევნები;

— პარტნიორი და მეგობარი ქვეყნებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის — პროპორციული არჩევნების დაპირების შესრულება, როგორც საქართველოსადმი ნდობისა და პრესტიჟის აღდგენის საკითხი და მისი მხრიდან აღებული ვალდებულებების შესრულებისადმი ერთგულების დასტური.

ვფიქრობთ, ასეთ შესაძლებლობას იძლევა თვით კონსტიტუცია.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: **„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი (ხაზგასმა ჩემია — მ.ჯ.).** რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისგან. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.“

საქართველო 2020 წლიდან უნდა გადავიდეს ორპალატიან სისტემაზე. ამისთვის, საკონსტიტუციო ცვლილება უნდა განხორციელდეს, სადაც დათქმა ის კი არ იქნება, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შემოერთების შემდეგ მოწესრიგდება მდგომარეობა, არამედ ის რომ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოწესრიგდება საკითხები და იურისდიქციის აღდგენის შემდეგ ის გავრცელდება შემოერთებულ ტერიტორიებზეც.

> **თუ როგორ ჩამოყალიბდეს აღნიშნული, ეს უკვე საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია.**
>
> **ისე, ზემოთ აღნიშნული დათქმა საქართველოს კონსტიტუციის მიღების ისტორიული კონტექსტიდან მომდინარეობს და დაკავშირებულია მაშინდელი პარლამენტარების მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის მოკლე დროში დასრულების მოლოდინთან.**
>
> **ამ ნორმის ზემოთ მითითებული პრინციპით დროის თანმიმდევრობაში გადანაცვლება, ამ ეტაპზე, კრიზისის მონაწილე მხარეებიდან ყველას ინტერესის დაკმაყოფილების საშუალებას მოგვცემს, რა თქმა უნდა, ყველას მხრიდან ამის სურვილისა და მინიმალური კომპრომისის შემთხვევაში.**

მიხეილ ჯიბუტი

კრისტიან ურსე: საქართველო გადადის სრულად პროპორციულ სისტემაზე

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის გაგრძელების პერსპექტივა არსებობს, რაც მნიშვნელოვანია, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა განუცხადა.

კრისტიან ურსეს თქმით, შაბათს ხელისუფლების, ოპოზიციის, დიპლომატიური კორპუსისა და ვენეციის კომისიის წარმომადგენლების მონაწილეობით გამართული შეხვედრა კარგი ნაბიჯი იყო პოლარიზაციის შემსუბუქებისკენ, რადგან დიალოგის ფორმატში მოხდა პოზიციების დაფიქსირება და აზრთა გაცვლა.

რაც შეეხება სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის თქმით, პრინციპის დონეზე საქართველო გადადის პროპორციულ სისტემაზე. **„პრინციპის დონეზე საქართველო გადადის სრულიად პროპორციულ სისტემაზე. ეს უკვე ასახულია კონსტიტუციაში და ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოს რეკომენდაციებიც ამ მიმართულებით იყო. ასე რომ, ეს არის არსებული რეალობა, ახლა ჩვენ ფოკუსირებული ვართ 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დიალოგსა და მიმდინარე პროცესზე“,** — განაცხადა კრისტიან ურსემ.

ირაკლი ჩიქოვანი: ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არჩევნები დადგენილ ვადაში ჩატარდეს

პრემიერ-მინისტრის მრჩევლის ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ საპარლამენტო არჩევნები დადგენილ ვადაში ჩატარდეს. ამის შესახებ ჩიქოვანმა მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

2020 წელს საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდება, როგორც ახლაა.

„საქართველოში პროპორციული არჩევნები ჩატარდება 2024 წელს. ერთი მხრივ, ეს კონსტიტუციით არის უზრუნველყოფილი, და მეორე მხრივ, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ კანონით გათვალისწინებულ და კანონით დადგენილ რეჟიმში, 2020 წლის არჩევნებმა ჩაიაროს მშვიდობიან და სამართლიან გარემოში“, — განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

ნავთობპროდუქტების ქარხანა რუსთაველების ცხვირწინ!..

საკრებულოს რისკის შემცველი გადაწყვეტილება

მწვავე **დისკუსიის შემდეგ რუსთავის საკრებულომ ხმათა უმრავლესობით გასცა საცხოვრებელი კორპუსების სიახლოვეს მეორადი ტექნიკური ზეთის გადამმუშავებელი ქარხნის აშენების ნებართვა. მას მოწინააღმდეგეები ჰყავდა „ქართული ოცნების“ უმრავლესობის წევრებს შორის. ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის წარმომადგენლები სხდომას არ დასწრებიან. საუბარია გარეჯის ქუჩაზე, საიდანაც კარგად მოჩანს არმატურის მწარმოებელი საწარმო „ჯეოსთილიდან“ ამოფრქვეული გამონაბოლქვი, რომელიც სხვა საწარმოების გამონაბოლქვს ერევა და შემდეგ მთელ რუსთავზე ვრცელდება.**

საკრებულო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 16 აპრილის ბრძანებას, რომელიც კომპანია „ეკოოილს“ ქარხნის აშენების ნებართვას აძლევს უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 470 მეტრში. ტერიტორია, რომელიც „ეკოოილმა“ შეარჩია, ე.წ. საწარმოო ზონის ფარგლებშია და ნარჩენების უტილიზაციაზე მომუშავე კომპანია „სანიტარს“ ეკუთვნის.ის, რომ ქარხანა დასახლებული პუნქტიდან კანონით განსაზღვრული მინიმალური მანძილით, 470 მეტრით, იქნება დაშორებული, მითითებულია გარემოზე ზემოქმედების ანგარიშშიც.სწორედ ამ დოკუმენტში მოყვანილი ცნობები დააყენეს ეჭვქვეშ საკრებულოს იმ დეპუტატებმა, რომლებმაც მშენებლობის ნებართვას ხმა არ მისცეს.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მალხაზ კომლაძემ სხდომაზე მიწვეული „ეკოოილის“ წარმომადგენლები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ყალბი ინფორმაციის მიწოდებაში დაადანაშაულა:

„პროექტის განხილვა იყო მოსახლეობასთან? განცხადება იყო? საცხოვრებელი კორპუსიდან 470 მეტრით ხომ უნდა იყოს დაშორებული (ქარხანა)? მინისტრი რომ მოატყუეთ და ყველა მოტყუვდა... 110 მეტრით იქნება დაშორებული მოსახლეობისგან“.

მალხაზ კომლაძემ კამათი მას შემდეგ შეწყვიტა, რაც საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ონიანმა საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. სანამ ეს მოხდებოდა, პრეტენზია საკრებულოს დამოუკიდებელმა წევრმა დავით კაპანაძემაც გამოთქვა:

„ეკოლოგიური დაბინძურება შეიძლება არ მოხდეს, მაგრამ ვთქვათ სიმართლე... ამ უბანში (გარეჯის ქუჩაზე) ვცხოვრობ, ქარხნიდან პირველი მოსახლე ვინც არის, 150 მეტრითაც არ არის დაშორებული. კანონებს თუ არღვევთ, ჩაასწორეთ, თუ შესაძლებელია“:

უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, დავით კაპანაძემ დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირა. მითითებულ ტერიტორიაზე ქარხნის მშენებლობას წინააღმდეგობას უწევდა რუსთავის საკრებულოს სოციალური საკითხების კომისიის თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ უმრავლესობიდან დავით იშხნელი:

„300 მეტრით დაშორება არ არის ის მანძილი, რომელიც თამამად მათქმევინებს, რომ ეს საწარმო მოსახლეობისთვის იქნება უსაფრთხო. მომიტევოს გარემოს დაცვის სამინისტრომ, მაგრამ ტერიტორიის არასწორად მითითებამ შეიძლება, გააჩინოს ის ეჭვიც, რომ ტექნოლოგიური პროცესი იყოს ისეთი, რომ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს“.

დავით იშხნელმა ისიც თქვა, რომ კომპანიას არ უზრუნია მოსახლეობასთან კომუნიკაციაზე, რაც ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ნდობის მოსაპოვებლად. ის, რომ ნახევარ ჰექტარ ფართობზე ნავთობპროდუქტის გადამმუშავებელი საწარმო აშენდება, გარეჯის ქუჩის ბინადრებმა რადიო თავისუფლებისგან შეიტყვეს. მათი თქმით, მჭიდროდ დასახლებული უბანი ისედაც დაბინძურებულია ქარხნებისა და სატვირთო ავტომანქანების გამონაბოლქვით, ამიტომ ახალი საწარმოს მშენებლობას ხელს შეუშლიან:

„თუ იქნება ფილტრები და გარემოს ზიანს არ მიაყენებს, კი ბატონო, თუ არადა, ვერაფერს ჩადგამენ... უბრალოდ, არ მივცემთ უფლებას. მიიღებენ პანკისურ, სვანურ პროტესტს. ყველაფერზე წამსვლელები ვართ... რამე რომ მოხდეს და ხანძარი გაჩნდეს, პასუხს ვინ აგებს?“

„ეკოოილის“ დამფუძნებელი სამირ ალაჰვერდიევი ირწმუნება რომ საწარმო ეკოლოგიურად აბსოლუტურად უსაფრთხო იქნება და დახურული ციკლით დახურულ გარემოში იმუშავებს.

„ეს არის დახურული ციკლი, სადაც შედის ძველი, გამოყენებული ზეთი და გამოდის ახალი, იმისთვის, რომ დამატებითი დამუშავების შემდეგ გამოვიყენოთ ავტოინდუსტრიაში და სხვადასხვა სფეროებში“.

სამირ ალახვერდიევის ინფორმაციით, კომპანია „ეკოოილი“ საქართველოშია რეგისტრირებული, ქარხანა კი აზერბაიჯანული ინვესტიციით აშენდება. ამ მიზნით მილიონი ამერიკული დოლარი დაიხარჯება, საწარმოს ამუშავების შემდეგ კი ინვესტიცია 5 მილიონ დოლარამდე გაიზრდება. ალახვერდიევი-სავე განცხადებით, საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა 90 პროცენტი ადგილობრივი მოსახლეობა იქნება.

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ონიანი ამბობს, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების მოტივით სამუშაო ადგილებზე უარის თქმა არამართებულია:

„აჟიტირება იმით, რომ ქალაქში ეკოლოგიური პრობლემა გვაქვს... მაშინ, მოდი, ყველა საწარმო გავაჩეროთ, პურის ქარხნები გავაჩეროთ. ეს არ არის სწორი მიდგომა. საწარმოები უნდა აშენდეს, მაგრამ უნდა გქონდეს გარანტია, რომ დამატებით ეკოლოგიურ პრობლემებს არ შექმნიან“.

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრის დროს დაიმოწმა „ეკოოილის“ წარმომადგენლის მიერ დაპირებული 50 ახალი სამუშაო ადგილი, თუმცა იმავე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში სხვა რიცხვი წერია. ამ დოკუმენტით საწარმოს მშენებლობაზე 10 ადამიანი დასაქმდება, ამუშავების შემდეგ კი — 20.

დავით მჭედლიძე

ახალი თამაშის წესები ენერგეტიკაში

„ბირჟის შექმნა კონკურენტულ გარემოს წარმოშობს“

საქართველოში ენერგეტიკული ბირჟა დაფუძნდა, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება, ორგანიზებული ბაზრების ფორმირებისა და ბაზრის ოპერატორად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ღონისძიებების მომზადება, ორგანიზება და კოორდინაცია.

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი **დავით მირცხულავა** ენერგეტიკული ბირჟის შექმნას მნიშვნელოვან რეფორმად მიიჩნევს და საერთაშორისო პრაქტიკაზე აკეთებს აქცენტს.

„ეს რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და ძალიან კარგია, რომ ის შეიქმნა, ამას მოსდევს დამატებითი რეფორმები, გადავალთ საათობრივ ვაჭრობაზე, რაც საბოლოო ჯამში შესაძლოა, ძალიან კარგი გამოვიდეს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი რეფორმაა, რასაც მივესალმები. ის უზრუნველყოფს ელექტროენერგიის შესაბამისი ორგანიზებული ბაზრების ოპერატორის ფუნქციების განხორციელებას და ბევრ საკითხს მოაგვარებს. მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა, მაგალითად, თურქეთში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს, ჩვენთვისაც უკვე აუცილებელი იყო, კარგია, რომ შეიქმნა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, უფრო ადრე განხორციელებულიყო“, — აცხადებს დავით მირცხულავა.

„ქართული ოცნების“ დეპუტატი რევაზ არველაძე აღნიშნულ სიახლეს მიესალმება, რადგან მიიჩნევს, რომ ენერგეტიკული ბირჟა ბაზარზე კონკურენტულ ფასებს უზრუნველყოფს.

„ბირჟის შექმნა ძირითადად მიმართულია, რომ ბაზარი მაქსიმალურად გაიხსნას, ენერგეტიკაში საბაზრო პრინციპები და კონკურენტული გარემო წარმოიშვას, კონკურენცია იმისთვის, რომ ხარისხი და ფასები უფრო ნორმალური და კარგი იყოს. ამისთვის არის ეს კანონი მიღებული და რამდენად იმუშავებს — ეს შემდეგ წლებში გამოჩნდება. მთელი მსოფლიო ამაზე გადადის და ფაქტია, რომ შესწავლილი და კარგი იქნება. ზოგადად კი ელექტროენერგეტიკაც და ბუნებრივი გაზიც ბუნებრივი მონოპოლიაა და მარეგულირებელი კომისიებიც მხოლოდ ბუნებრივ მონოპოლიებში იქმნება, იმისთვის, რომ მომხმარებელი დაიცვას მონოპოლიური ფასებისგან, რა თქმა უნდა, სხვა ფუნქციებიც აქვს, თუმცა, ძირითადი ფუნქცია ეს არის. რამდენადაც მეტად ხდება თავისუფალ ბაზარზე გასვლა, ცხადია მარეგულირებელ კომისიას მომხმარებელის დაცვა მონოპოლიური ფასებისაგან უჭირს“, — განმარტავს რევაზ არველაძე.

ენერგეტიკოსი გია არაბიძეც დადებითად აფასებს ბირჟის შექმნის იდეას, თუმცა, მთავარ პრობლემას ელექტროენერგიის დეფიციტში ხედავს.

„იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ცივილიზებული ფორმით ელექტროენერგიის ვაჭრობის განხორციელება შესაძლებელი გახდება. თუმცა, საკითხავი ის არის, ქვეყანას, რომელსაც ელექტროენერგიის მილიარდნახევარი დეფიციტი აქვს, რანაირი ვაჭრობა უნდა ჰქონდეს. ერთი მხრივ კარგია, რადგან ცივილიზებული ფორმაა, მაგრამ ამ ბირჟისგან დღეს და ხვალ რაიმე სიკეთეს ველოდოთ, ამის თქმა რთულია. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როცა დასტაბილურდება ელექტროენერგიის მოხმარება და გამომუშავებაც, მერე უკვე სრულად ამუშავდება ბირჟა და ალბათ უკეთეს შედეგს მოგვცემს“, — აცხადებს გია არაბიძე.

„საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალებითა და კოორდინაციით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა და „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა. ელექტროენერგიის ბაზარი 2021 წლიდან ამოქმედდება და საათობრივი ბაზრისა და საბალანსო მექანიზმის დანერგვას ითვალისწინებს.

ნინო თამაზაშვილი

იანვარ-ნოემბერში ქართული ღვინის ექსპორტი 10%-ით გაიზარდა

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, იანვარ-ნოემბერში ღვინის ექსპორტი 10%-ით გაიზარდა. სააგენტოს ცნობითვე, თერთმეტ თვეში მსოფლიოს 53 ქვეყანაში, ჯამში, 86 მილიონამდე ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება კი 220 მილიონი აშშ დოლარია, რაც 2018 წლის მონაცემზე 20%-ით მეტია.

„2018 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იყო 86.2 მილიონი ბოთლი ღვინო, რაც ბოლო 30 წლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით, უკვე შეიძლება ითქვას, რომ 2019 წელიც დასრულდება ახალი რეკორდული მაჩვენებლით, ვინაიდან, ტრადიციულად, დეკემბრის თვეში ექსპორტის რაოდენობა მაღალია სხვა თვეებთან შედარებით, — წერია სააგენტოს განცხადებაში.

გაუტეხელი კაცი



ხვალ, 7 დეკემბერს, აკადემიკოს როინ მეტრეველს 80 წელი უსრულდება. იძნება ბევრი მილოცვა. წმ. ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად გახლავთ, საიუბილეო საღამოც გაიმართება, მორიგი საინტერესო წიგნის პრეზენტაციით.

მეცნიერებათა აკადემიაში „ზეიმის“ კატეგორიული წინააღმდეგი თავად ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. სხვა დიდებული მამულიშვილების ღვაწლის დამფასებელი, მათი საიუბილეო თარიღების არდამვიწყებელი და აღმნიშვნელი, საკუთარის შეფასებისას თავმდაბლობის ზღვარს არასოდეს გასცდენია. რაც შეეხება დედაუნივერსიტეტს, ვერაფერს გეტყვით, პოეტის მოხდენილი ნათქვამისა არ იყოს, „სხვა ხალხის ისმის იქ ჟრიამული...“

ბუნებრივია ჩემი სურვილი, გამოვეხმაურო ამ სასიამოვნო მოვლენას, მით უმეტეს, ლამის 60 წელი – ნებისმიერ „ეპოქაში“, კეთილმოსურნე თუ ავადგანწყობილი ყველა „რეჟიმის“ დროს ვიყავი „პროფესიონალი როინისტი“, დაუფარავად თავაწეული და ამაყი ამ პროფესიით. და რა გასაკვირია, მქონდეს ბევრი მოსაგონებელი და სათქმელი.

...დავიწყებ იმ ფაქტით, როცა 1965 წლის 30 ივნისს, დედაუნივერსიტეტის 105-ე აუდიტორიაში ერთმა ასპირანტმა დისერტაცია დაიცვა და რომელსაც, როგორც სტუდენტი-ჟურნალისტი ვესწრებოდი. ინტერვიუ ჩამოვართვი ისტორიის ფაკულტეტის მაშინდელ ლეგენდარულ დეკანს, პროფესორ შოთა მესხიას, რომელიც ვერ ფარავდა კმაყოფილებას თავისი გამორჩეული მოწაფისა და დისერტანტის მოსაწონი დაცვის გამო და „გამომიტყდა“, რომ ისტორიკოსთა ოჯახს შეემატებოდა საიმედო წევრი, რომ იმდღევანდელი წარმატება არც პირველია და არა უკანასკნელიო...

მალე ამ დაცვას მოჰყვა ამ დისერტანტის – როინ მეტრეველისა და მისი კოლეგა-მეგობრის – შოთა ბადრიძის წიგნი, რომელიც პირველად, საჯაროდ და მასშტაბურად აცნობდა იმდროინდელ ქართველ საზოგადოებრიობას ცხოვრებასა და ღვაწლს დიდი ექვთიმე თაყაიშვილისა, რომელიც ქართველმა ეკლესიამ შემდგომ წმინდანად შერაცხა.

მას შემდეგ 50 წელი გავიდა.

ამ პერიოდში ბევრი რამ მოხდა საყურადღებო, სასიხარულო, საამაყო და... გულსატკენიც, მაგრამ ერთი – განსაკუთრებულიც, ნიშანდობლივი და მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელიც. ესეც დისერტაციის დაცვა გახლდათ, ახლა უკვე სადოქტოროსი. ოღონდ, ამ დღეს ვითარება დიამეტრულად განსხვავდებოდა წინა დაცვის ამაღლებული განწყობებისგან.

საქმე იმაში კი არ იყო, რომ ეს საშინელი თარიღი – 1974 წლის 11 სექტემბერი, ემთხვეოდა აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აღებისა და აოხრების დღეს, რაც დაცვაზე შეკრებილ მეცნიერულ საზოგადოებას ძილშიაც კი ახსოვდა ყოველთვის და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებაც კი გამოითქვა ამ „დამთხვევის“ გამო.. არამედ იმაში, რომ საქართველოს იმ დროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის დისერტანტი გახლდათ ერთობ „საეჭვო“ და „არასასურველი“ პოლიტიკური რეპუტაციის. ეს იცოდა ყველამ, ეტყობოდა აუდიტორიასაც(!) და ამ კონიუნქტურას ანგარიშს უწევდა ბევრი, მცირე გამონაკლისის გარდა.

საქმე იმაში გახლდათ, რომ 1972 წლის გაზაფხულზე სსრკ-ის ხელმძღვანელობამ სპეციალური დადგენილებით საჯაროდ აგრძნობინა საქართველოს ელიტას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში რადიკალური ცვლილებების აუცილებლობა. რა თქმა უნდა, ამას მოჰყვა „სკამების“ მაძიებელთა და პრეტენდენტთა გააქტიურება ყველა მიმართულებით (მათ შორის, საკუთარი დამსახურების წარმოჩენისა და „კონკურენტთა“ ჩაძირვის მცდელობით).

„ჩაშვების“ ერთ-ერთი უმთავრესი ობიექტი გახლდათ სწორედ ეს ჩვენი დისერტანტი, საზოგადოებრივ არენაზე მოქმედი, იმ დროისთვის 32 წლის უაღრესად პერსპექტიული სახელმწიფო მოღვაწე, ახალგაზრდული ორგანიზაციის პოპულარული ლიდერი, დაწინაურებული ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე, რომელსაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თაობის ლიდერად თვლიდა და რესპუბლიკის სავარაუდო ხელმძღვანელადაც მოიაზრებოდა. მით უმეტეს, რომ საპენსიოდ გამზადებული რესპუბლიკის თავკაცი ვასილ მჟავანაძე მხოლოდ(!) მას უწევდა რეკომენდაციას, თანაც ეს გააკეთა ორჯერ, დაჟინებით, სსრკ მმართველთან ლეონიდ ბრეჟნევთან პირადი შეხვედრებისას.

მაგრამ, მოხდა ის, რაც არაერთხელ მომხდარა. „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“, არჩევანი მასზე არ შეჩერდა. ამ „სხვამ“ კი, რომელიც 30 სექტემბერს, კვირის ბოლო(!) სამუშაო დღეს – პარასკევს აირჩიეს რესპუბლიკის ხელმძღვანელად, ორშაბათს, მომდევნო კვირის პირველ(!) სამუშაო დღეს, 3 ოქტომბერს, გამოკვეთილად სუბიექტური გადაწყვეტილებით, ხელმძღვანელი ბირთვიდან მოიშორა „კონკურენტი“, ჩამოაქვეითა და „იქ“ გააგზავნა სამუშაოდ, საიდანაც პოლიტიკაში, როგორც წესი, არ ბრუნდებიან. და არა მარტო პოლიტიკაში, მისთვის მეცნიერულ ასპარეზზეც უნდა შექმნილიყო „ჭაობი“, რამეთუ რესპუბლიკაში მომხდარი რადიკალური ცვლილებები ხორციელდებოდა იმ „დოკუმენტების“ საფუძველზე, სადაც ეს ჩვენი დისერტანტი, ორიოდე წლის წინანდელი საპირველკაცოდ გამზადებული პარტიული კაცი, „გამოცხადებული“ გახლდათ (ზოგიერთ სხვა კოლეგასთან ერთად) მმართველი პარტიისთვის არასასურველ პერსონად. უფრო კონკრეტულად: მამალ ნაციონალისტად, გამოუსწორებელ მონარქისტად, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი იდეალი და კვლევის ობიექტი მეფე დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა იყო.

ეს მოსკოვისთვის. „ჩამშვებთათვის“ კი იმიტომ, რომ...

ცნობილია: „არ არის კაცი... არ არის პრობლემა!“ – ეს სტალინური ფორმულა ვერ ამოქმედდებოდა ფიზიკურად(!), რადგანაც გარეთ არ იდგა 1937 წელი. ამიტომ, მისი „ჩაქოლვა“ და მის გარშემო „სიცარიელის“ შექმნა ისე უნდა მომხდარიყო თუნდაც იმ სფეროში, სადაც „დამალეს“, რომ ის, როგორც „ფიგურა“ ყველას დაავიწყებოდა და მასაც არ უნდა გასჩენოდა „თავის გამოჩენის“ სურვილი. რა თქმა უნდა, ეს ვითარება მეტ-ნაკლებად ქმნიდა ადეკვატურ რეალობას.

ისე, ახალთაობამ უნდა იცოდეს, რომ პოლიტიკურად ეს ფორმულა არა მარტო 1972-74 წლებში ცოცხლობდა, არამედ საქართველოში სულ(!) აქტუალურია, თქვენ წარმოიდგინეთ, დღესაც.

...ჰოდა, დავუბრუნდები ისევ სადოქტოროს დაცვას. სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოს 44 წევრიდან 43. დისერტანტს ხმა მისცა ყველა დამსწრემ. გეყურებათ? აბსოლუტურად ყველამ!!!

საინტერესოა ისიც, რომ ოპონენტებსა და გამომსვლელებს შორის იყვნენ ბუმბერაზები, მათ შორის: შალვა ამირანაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ანდრია აფაქიძე... ეს ქართული მეცნიერების სინდის-ნამუსი ხალხი, რომლისთვისაც მთავარი პოლიტიკა გახლდათ მეცნიერული დონე, სიღრმე და არა... პოლიტთამაშები და კეკლუცობა. სწორე მათ, თავიანთ გამოსვლებში მოსთხოვეს დისერტანტს, დაუღალავად გაეგრძელებინა „იძულებით“ არჩეული გზა და განსაკუთრებული სითბოთი, ქვეყნის გასაგონად დალოცეს მისი საქმიანობა.

ჭეშმარიტებისთვის უნდა გავიხსენო ერთი ჩემთვის მეტად უსიამოვნო ფაქტი, რამეთუ, ეხება საყვარელ ადამიანს, მაგრამ ნათელყოფს ამ სადოქტოროს დაცვის გარშემო არსებულ კონიუნქტურას.

სხდომას არ ესწრებოდა ერთადერთი საბჭოს წევრი, უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც დილით „რაღაც“ საქმეზე მოსკოვს გაფრინდა და... ის შემდგომ ჩემი უახლოესი უფროსი მეგობარი გახდა და იყო სიცოცხლის ბოლო დღემდე. ერთხელ სინანულით გამომიტყდა: კაცი, რომელმაც ფაშისტებთან ომი თავიდან ბოლომდე გამოვიარე, საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზეც კი ვიყავი წარდგენილი, როგორც უშიშარი მფრინავი-გამანადგურებელიო, მხდალივით გავიპარე ამ დაცვიდან, რათა პრობლემები არ შექმნოდა დედაუნივერსიტეტს და მე, როგორც მის რექტორსო...

სწორედ ამ შემთხვევისას ვიტყვით ხოლმე: მდაააა!

...ახლა მე ისეთ ასაკში ვარ, ზომიერების დარღვევა-გადაჭარბება არ მეკადრება. ამიტომ ნურავინ ჩამითვლის გადაჭარბებად იმას, რასაც გულწრფელად ვიტყვი: ბ-ნი როინ მეტრეველი სრულიად უნიკალური მოვლენაა ქართველ საზოგადოებრივ სივრცეში.

უაღრესად გამორჩეული, ნაყოფიერი და ხელხვავიანი მეცნიერი, დიდი ივანე ჯავახიშვილის და მისი ერთობ პატივსაცემი კოლეგების, მათი მოწაფეების საქმის არა მარტო გამგრძელებელი, არამედ ავტორიტეტული ლიდერი; ისტორიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელი, გზის გამკვალავი და მხარდამჭერი.

დიდ ირაკლი აბაშიძესთან ერთად პირველი ქართული ენციკლოპედიის მთავარი მესაძირკვლე, მეცნიერ-შემოქმედთა ამ განუმეორებელი ჯგუფის თავკაცი.

დედაუნივერსიტეტის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული რექტორი. უმძიმეს პერიოდში, როცა საქართველოში შუქი, წყალი, გათბობა სანატრელი იყო, როცა „დროული ხელფასის“ უბრალო ცნებაც კი მწარენარევ ღიმილს იწვევდა, უნივერსიტეტში სწავლა(!!!) ერთი(!!!) დღითაც არ შეწყვეტილა. ცალკე თემაა, რის ხარჯზე კეთდებოდა ეს. რომ არა თავდადება პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა კოლექტივისა, რომელსაც ზვიად გამსახურდიას თაოსნობით სათავეში ჩაუდგა და შემდგომი 13 წლის მანძილზე თავკაცობდა პროფესორი როინ მეტრეველი, უნივერსიტეტი თავზე „დაენგრეოდა“ ქვეყანას. და რაც არ უნდა იქირქილოს ავმა, ბოროტმა და „დაუნახავმა“ ენამ, გამიზნულად რა ცილიც არ უნდა დასწამონ თავად კორუმპირებულმა „მავანმა“, ვითომ „ძაან ნაკითხმა“ ფუყე ტიპაჟმა, უწიგნურმა „კმარელმა“ ნაძირალებმა, ამ დამსახურებას ვერავინ წაართმევს საუნივერსიტეტო ცხოვრების ამ ავტორიტეტულ და ნიჭიერ ორგანიზატორს.

1972 წლის ოქტომბრის შემდგომ „ამღვრეულ წყალში“ არაერთმა, მათ შორის, კოლეგად ცნობილმა ზოგიერთმა არაკაცმა, მოინდომა „ღლავის დაჭერა“ – კარიერის გაუმჯობესება, უკადრებელიც კი იკადრა, შემდგომაც არაერთგზის დაუმსახურებლად ატკინეს გული, მაგრამ... ვერ გატეხეს! ვერა!

არ მახსოვს, ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა როინ მეტრეველს დაეკარგოს წონასწორობა, ოდნავ მაინც ჩრდილი მიეყენებინოს თავისი ბიოგრაფიისთვის. უფრო მეტიც, მავანისთვის პასუხის გაცემის არაერთი მსურველი (მათ შორის მეც, თანაც არაერთგზის), თავად მეტრეველმა დაამუხრუჭა, რათა საბაბი არ მიეცა ქვეყნის სათავეში მოსული ჯგუფის ზოგიერთი „ენთუზიასტისთვის“ (სხვათაშორის, ზოგიერთ მის მიერ ხელდასხმულისთვის) ანგარიში გაესწორებინა განსაკუთრებით გამორჩეული „როინისტებისთვის“. ამ „მომენტს“ იმიტომ ვიხსენებ, რომ დავაოკო ზოგიერთი ჭკუასუსტი თუ ცხელთავა, რომელსაც ზოგჯერ დღესაც კი, წინ უსწრებს ენა, თუმც არ ყოფნის ასაკი, განათლება, გამოცდილება და, „ჟარგონით“ რომ ვთქვათ, კაცობა, „ჭრას და კეროს“ ის ეპოქა, ის დრო, ის საქმეები და იმდროინდელი პერსონების ნაღვაწი.

სამართალმა გვიან, მაგრამ, როგორც იტყვიან, მაინც ჭამა პური. და ეს, უწინარესად, გამოიხატა არა კარიერული სიმაღლეების დაძლევით, არამედ და უწინარესად მეცნიერული პროდუქციით, რომელიც ასზე ბევრად მეტ მცირე თუ სქელტანიან წიგნს, უამრავ პუბლიკაციას ითვლის და რომელთა გარეშეც მომავალში წარმოუდგენელია ქართული ისტორიოგრაფია. მისი ფანტასტიკურად საინტერესო წიგნები დავით აღმაშენებელსა და მეფე თამარზე გაუძლებს არაერთ ეპოქას.

ხუთიოდე წლის წინათ, როცა საპატრიარქოს უნივერსიტეტში შეკრებილმა საზოგადოებამ თავმდაბლურად, მაგრამ ღირსეულად აღნიშნა 75 წლის აკადემიკოსის დამსახურება, სასიამოვნოდ გაგაოცებდათ მისი მოწაფეების გულწრფელი გამოსვლები და შეფასებები. სწორედ მის წიგნებს, პუბლიკაციებს და მისი აღზრდილების საქმიანობას ვთვლი პირადად მე, იმ „სამართლის ქმნად“, რაც არა და არ მოხდებოდა, რომ არა 1972 წლის ოქტომბრის დასაწყისში იძულებით დამთავრებული პოლიტიკური კარიერა და „ახალი ცხოვრების“ დაწყება. ღიმილის მომგვრელია ის ფაქტიც, როცა 90-იან, პოლიტიკურად არეულ დროს, მას დაჟინებით სთხოვდნენ და აძალებდნენ კიდეც კომპარტიის ლიდერობას, მაგრამ მიიღეს მტკიცე, უყოყმანო უარი.

როინ მეტრეველის ბიოგრაფია, საქმიანობა იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა შეუძლია ნიჭს, შრომისმოყვარეობას, სულიერებას, უკეთილშობილეს ადამიანურ თვისებებს, იმის მიუხედავად, რომ ძალიან ადრე – სიყმაწვილეში დაკარგა საამაყო მამა და არცთუ დალხენილ პირობებში იზრდებოდა დედისერთა ბიჭი. დიახაც, რომ საოცარმა დედაშვილობამ და საკუთარმა ღირსებამ საზოგადოებას მისცა ნამდვილი მოქალაქე, ოჯახს – სამაგალითო მეუღლე და მამა, საქართველოს ისტორიას – ერთობ კომპეტენტური მკვლევარი, ეროვნულ აკადემიას – საამაყო წევრი და ვიცე-პრეზიდენტი, საახლობლოს – უღალატო და ერთგული მეგობარი.

ამ „მონოლოგის“ გაცნობის შემდეგ, ჩემი მრავალრიცხოვანი მეგობრებისთვის ნათელი უნდა იყოს, რატომ ვხვდებით ბატონი როინი და მე მეუღლეებით ყოველ ახალ წელს ერთად უკვე 47 წელი, თითქმის ნახევარი საუკუნე! რატომ მიყვარს და ვამაყობ ჩემი მეგობრით, მისი დიდი ოჯახით, მისი საოცარი მეუღლით, რომელიც ბატონი როინის ცხოვრების ფრონტის მუდმივი და საიმედო „ზურგის სარდალი“ გახლავთ.



დღეგრძელობა არ მოაკლდეს დამაშვრალ კაცს, ბევრჯერ გეხარებინოს ქართველი საზოგადოება დიდი საქმეებით და უმშვენიერესი წიგნებით.

ნუგზარ ფოფხაძე

ანონსი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ხვალის ნომერში შემოგთავაზებთ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შთამბეჭდავ წერილებს ბატონი როინ მეტრეველის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ვერა და ვერ მოვირგეთ ევროპელი კუჭურიების მიერ შეკერილი სამოსი...

საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები არა მარტო ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების ყურადღებასაც იპყრობს, არამედ მეზობელი ქვეყნებისაც. ოპოზიციის სამართალდამცველებთან ჯახმა, თავისუფალი, დემოკრატიული, სუვერენული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოქლომების, ჯაჭვების გამოყენებამ, ადმინისტრაციული შენობებისა და პარლამენტის ბლოკირებამ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

დამისახელეთ თუნდაც ერთი ევროპული ქვეყანა, სადაც მიტინგი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადაიცემა, თან ისეთი სიხალისით, თავისუფალი ლექსიკით, წინათ რომ უწმაწურად მოიხსენიებოდა.

ისტორიას ჩაბარდა საბჭოთა პერიოდის დარბაისლობა ერთმანეთთან ურთიერთობაში. თავშეკავებული, ზრდილობიანი საჯარო საუბრები, განსაკუთრებით ტელე-რადიოეთერში, დღევანდელები ამას ჩამორჩენილი, კომუნისტური რეჟიმის მიერ დამონებული ადამიანების ქცევის სინდრომს მიაწერენ. რა სჯობს თავისუფლებას, უკომპლექსობას – ნატურალიზმით გაფერადებულ მაგარ ტიპობას?!

ტყუილად ხომ არ შეურქმევია „სტრატეგიულ პარტნიორს“ საქართველოსთვის დემოკრატიის და თავისუფლების ოაზისი? და ჩვენც, ლამის 30 წელია, პასუხად ყველაფერს ვაკეთებთ დემოკრატიის, სუვერენიტეტის, სიტყვის თავისუფლების ცნებების განსამტკიცებლად – ჩვენებურად, ახალ ქართველობას რომ შეეფერება.

ამ პროცესში სულ დაგვავიწყდა ქვეყანა, რომლის სიკეთისთვის ვითომ რომ ვიბრძვით – სიტყვით, საქმისა კი რა მოგახსენოთ. კოლექტიური დასავლეთი სიტყვას არ იშურებს ჩვენი შექებისთვის – ყველაზე დემოკრატიულები ხართ რეგიონშიო – გვეუბნებიან, თან იმასაც ამატებენ – თქვენთან, ახლოსაც ვერ მოვლენ მეზობელი ქვეყნებიო.

ქებით გაბრუებულებს, რეალობის აღქმა დაგვეკარგა და ამ რეალობას ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ჩამოუყალიბებლობა ჰქვია. 30 წელია, ვერა და ვერ დავხვეწეთ სახელმწიფო მართვის სისტემა, საარჩევნო კანონმდებლობა, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. პირველი საყოველთაო, მრავალპარტიული არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში მოსული მთავრობა ძალისმიერი მეთოდებით დავამხეთ, მისი შემცვლელი, არჩევნებში გამარჯვებული, სახალხო ჯანყით გავისტუმრეთ ისტორიის სანაგვეზე, შემდეგი, მასობრივი სახალხო გამოსვლებით ვაიძულეთ ძალაუფლების გადაბარება.

ანალოგიურს ვუქადით დღევანდელსაც. პარტიათა ძიძგილაობაში, მუშტი-კრივში, ლანძღვა-გინებაში, ქუჩების გადაკეტვაში, მიტინგებში, სახელმწიფო შენობების ბლოკირებაში ვატარებთ დროს...

ობიექტურად იბადება კითხვა – რაშია საქმე? რა ისეთი ბაცილით ვართ დაავადებული, რომლის განკურნება შეუძლებელია? ეს კითხვა საზოგადოებაში ხშირად ისმის. პასუხი კი არ ჩანს.

დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე – 1991 წლის აგვისტოში, პრეზიდენტ გამსახურდიასთან ამერიკელი კონგრესმენების საუბრის დროს, მოვისმინე „რეცეპტი“ საქართველოს სამომავლო პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებისა, რომელიც დღესაც ჩამესმის ყურში. მაშინ 50 კონგრესმენი, სპეციალური დავალებით სტუმრობდა საქართველოს – ქვეყანას, გასულს საბჭოთა კავშირიდან.

ამერიკელები გვირჩევდნენ სახელმწიფოს მშენებლობის მოდელად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ისეთი ქვეყნების გამოცდილება აგველო, როგორებიცაა სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი... – აღმოსავლეთის ვეფხვებად წოდებულნი. მათი პოლიტიკური სისტემა და სახელმწიფო მმართველობა, საბჭოეთიდან გამოსული ქვეყნისთვის მისწრებაა, ვიდრე ევროპული დემოკრატიაო.

ამერიკელთა მხრიდან იყო ასეთი განცხადებაც – ჩვენი იმედი ნუ გექნებათ, ვერ გარჩენთ, ვინაიდან სარჩენი გვყავს აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიო.

ამერიკელ კონგრესმენებს ოპოზიციურ პარტიებთანაც ჰქონდათ საუბარი – რუსთაველის პროსპექტზე, სასტუმრო „ივერიიდან“ თავისუფლების მოედნამდე ტროტუარებზე გაშლილ კარვებში წამოწოლილებთან, რამაც კიდევ უფრო განუმტკიცათ საქართველოსთვის გამოწერილი „რეცეპტის“ სისწორე.

ამერიკელთა ნათქვამის მიხედვით, 70-წლიანი საბჭოთა რეჟიმგამოვლილი ქვეყანა ვერ შეძლებდა სწრაფად ევროპულ დემოკრატიასთან შეგუებას. იქაური დემოკრატია ხომ სათავეს მრავალი საუკუნის წინათ იღებს. დემოკრატიული ცხოვრების დამკვიდრებას თაობის ცვლა სჭირდება. ერთი თაობის პირობებში ევროპული დემოკრატიის შეთვისება მხოლოდ სიტყვით არის შესაძლებელი და არა საქმით, რაც განვლილი 30-წლიანი გამოცდილებითაც არაერთხელ დამტკიცდა.

ამერიკელთა მინიშნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე, პრაგმატიზმით იყო გამოწვეული და იმ წარმატებებით, აღნიშნულმა ქვეყნებმა დროის მოკლე პერიოდში რომ მიაღწიეს. ერთპარტიულმა სისტემამ, ცენტრალურმა მმართველობამ, კანონებისადმი უყოყმანო მორჩილებამ, ეკონომიკურ-საფინანსო ცხოვრებაზე კონცენტრირებამ, პატრიოტიზმმა, მუყაითმა, თავდადებულმა შრომამ, ჩამორჩენილი, ღატაკი სინგაპური თითით საჩვენებელ, სანიმუშო ქვეყნად აქცია – ქვეყნად, სადაც კორუფცია უცხოა 5-მილიონიანი საზოგადოებისთვის.

სინგაპურის წარმატება განაპირობა მკაცრმა სახელმწიფოებრივმა სისტემამ, გონივრულმა გადაწყვეტილებებმა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ლი კუან იუ ახორციელებდა და არა საპარლამენტო დებატებმა, გაუთავებელმა ყაყანმა და დაპირისპირებამ!

ეკონომიკური თვალსაზრისით გაძლიერებულ ქვეყანაში შესაძლებელი გახდა მრავალპარტიული სისტემის დაშვება, რამაც ვეღარაფერი დააკლო ქვეყნის სიმტკიცეს, მდგრადობას. ანალოგიურს ჰქონდა ადგილი ტაივანზე, სხვაგან. ეს, უბრალოდ, მაგალითისთვის.

ამერიკელი კონგრესმენების ვიზიტის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. შეიცვალა აშშ-ის ადმინისტრაციები, მათი დამოკიდებულება ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. გორბაჩოვ-ელცინის დასავლეთისადმი მაამებლურმა პოლიტიკამ, ქედის მოხრამ დაარწმუნა დასავლეთი კრემლის მესვეურთა სისუსტეში, სიხარბეში, განვლილი საბჭოური ცხოვრების სიძულვილში.

ამერიკამ და მისმა ევროპელმა სატელიტებმა იოლად შეისრუტეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები – ნატოში და ევროკავშირში გაწევრებით. ნატოს სამხედრო ბლოკი რუსეთის საზღვრებს მიაყენეს. უკრაინას, საქართველოს, მოლდოვას აღნიშნულ ორგანიზაციებში შესვლას შეჰპირდნენ. ამერიკელ კონგრესმენთა რჩევა აღარავის ახსოვს.

თავისუფლებას დახარბებულმა საქართველომ, აქაოდა, დამოუკიდებელი ვარო, ალმაცერად დაუწყო მზერა საკუთარ ავტონომიურ ფორმირებებს, რასაც შიდა ომები და ქვეყნის დაქცევა მოჰყვა. გაუკულმართებული გზით სვლამ, შენების ნაცვლად, წინაპართა შექმნილის განიავებამ, პარლამენტართა გაუთავებელმა ლაქლაქმა, პოლიტიკურ პარტიათა დაპირისპირებამ – ხშირად სისხლიანმა, სავალალო შედეგი მოიტანა და ამას დასავლეთმა დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება შეარქვა.

ჩვენმა მეზობლებმა, სხვა ყოფილმა საბჭოელებმა, საპირისპირო გზა აირჩიეს, ისეთი, ჩვენ რომ ამერიკელი კონგრესმენები გვირჩევდნენ – ნაკლები ყაყანი, მეტი საქმე და შენება. შედეგი თვალშისაცემია. აი, რას წერს ინტერნეტ-გამოცემა „ევრასიანეტი“ (Eurosianet), რედაქციით ნიუ-იორკში:

„საქართველოში მინიმალური ხელფასი, 20 ლარი დღეში (7 დოლარი) შეუცვლელია წლების განმავლობაში. ეს მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დაბალია. ოფიციალური სტატისტიკით, დასაქმებული მოსახლეობის 28% თვეში საშუალოდ 280 ლარს იღებს (98 დოლარს). არის პროექტი მინიმალური ხელფასის 400 ლარამდე გაზრდის. ფრიდრიხ ებერტის ფონდის თბილისურმა წარმომადგენლობამ შეისწავლა საკითხი და დაასკვნა, რომ მინიმალური ხელფასის 30%-ით გაზრდა შეამცირებს სიღარიბეს, უმუშევრობას, წინაღმდეგ შემთხვევაში, საქართველო განწირულია სამარადისო სიღარიბისთვის.

ქვეყნის პოლიტიკოსები სულაც არ ფიქრობენ, რამდენად არის საჭირო „განვითარებული დემოკრატია“ ღატაკი, მშიერი საზოგადოებისთვის, ისე, როგორც ევროინტეგრაცია ან ნატოში გაწევრება. ამ გეოპოლიტიკურმა თამაშებმა ბოლო პლანზე გადასწია ქვეყნის მოსახლეობის პრობლემები, რომელთაგან უმთავრესია უაღრესად დაბალი ხელფასები. ზაფხულის ანტირუსულმა გამოსვლებმა – ინსპირირებულმა სააკაშვილის მიერ და აქტიურად მხარდაჭერილმა დასავლეთიდან, მძიმედ იმოქმედა ტურიზმზე, ლარის კურსზე, მთლიანად ეკონომიკაზე.

მინიმალური ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელსაც ბიზნესი ახმოვანებს. მისი აზრით, ხელფასის მომატება ბიზნესს გაუზრდის ხარჯებს, გარდა ამისა, დააფრთხობს უცხოელ ინვესტორებს. მათი ინტერესები ხომ იაფ მუშახელშია?

საქართველოს პრობლემების მოგვარება ისეთი რამაა, არც ყოფილ პრეზიდენტს და არც მის მხარდამჭერებს რომ არ აინტერესებთ, მითუმეტეს მათ დასავლელ მფარველებს. მათთვის საქართველო ანტირუსული პლაცდარმია და მეტი არაფერი. საქართველოს მოსახლეობის გასაჭირი მათთვის არაფერია, რაც გამოჩნდა ზაფხულისა და შემოდგომის გამოსვლებში“.

ანტისახელისუფლო მიტინგები გრძელდება, ისე, როგორც მომწამვლელი სატელევიზიო თოქ-შოუები. ერთის წინააღმდეგ გაერთიანებული ოპოზიცია დამშვიდების შანსს არ აძლევს ხელისუფლებას, თუმცა „ოცნებელი“ ბობოლების სალაღობო უცხოური ვოიაჟებიდან გამომდინარე, დიდი ჭმუნვა არც მათ ეტყობათ. პირიქით, ნიშნის მოგებით იგერიებენ შემოტევებს და თავისაზე მტკიცედ დგანან – არჩევნების შერეული სისტემით ჩატარებაზე.

ამ ორომტრიალში, სახელისუფლებო სავარძლებისთვის ომი რომ ჰქვია, ხალხი ზარალდება. ის ტოვებს ქვეყანას და ლუკმაპურის საძიებლად უცხოეთში მიდის. „მიუხედავად იმისა, რომ ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა გარკვეული შეზღუდვები დააწესეს საქართველოდან ჩასულ მიგრანტებზე, მასობრივი გადინების ტალღას ვერაფერი აჩერებს“, – წერს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და იმოწმებს „საქსტატის“ მონაცემებს, რომლის მიხედვით ყველაზე მეტი ემიგრანტი 2018 წელს აღრიცხა – 76367. მიმდინარე წლის მონაცემები ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ სანუგეშო არც წელს გვექნება.

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს ევროპული დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ბრმად გადმოღებაზე, უხეშ, ტლანქ ორგანიზმზე ევროპელი კუტურიების მიერ შექმნილი სამოსის ძალით მორგებაზე. დაძალებით გადემოკრატება უცხოა თანამედროვე მსოფლიოსთვის, რაც უნდა შეიგნოს ჩვენმა პოლიტელიტამ და დაბნეულმა, გაღიზიანებულმა საზოგადოებამ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

საყოველთაო გაფიცვა პარიზში

პარიზში საყოველთაო გაფიცვის გამო მუნიციპალური ტრანსპორტი პარალიზებულია, არ მუშაობს მეტრო და რკინიგზა. ტრანსპორტის სამინისტროს განცხადებით, ამ მიმართულებით ქალაქში ვითარება სავარაუდოდ მთლიანად ამ კვირაში რთულად იქნება.

სარკინიგზო ოპერატორებმა Eurostar-მა და Thalys-მა გაფიცვის გამო ბრიუსელთან და ლონდონთან დამაკავშირებელი რეისების ნახევარზე მეტი გააუქმეს. ასევე გაუქმდა ფრენების 20%. გაფიცვაში მონაწილეობენ ნახევარზე მეტი საშუალო და დაწყებითი სკოლების პედაგოგები და თანამშრომლები. ასევე გაიფიცნენ საავადმყოფოების მუშაკები.

როგორც BBC წერს, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის მიხედვით, საყოველთაო გაფიცვას მხარს მოსახლეობის 69% უჭერს, განსაკუთრებულ მხარდაჭერას კი გამოხატავენ 18-34 წლის მოქალაქეები.

მაკრონის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ შეძლებს თავიდან აირიდოს 1995 წლის მსგავსი საყოველთაო გაფიცვა. მაშინ გაფიცვა სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ბლოკირებული იყო სატრანსპორტო სისტემა, რის გამოც ხელისუფლება იძულებული გახდა საპენსიო რეფორმის მხრივ დათმობებზე წასულიყო.

მესტიის საპრეზიდენტო რეზიდენცია აუქციონზე იყიდება

პროგრამის – „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში, მესტიის ყოფილი საპრეზიდენტო რეზიდენცია, ელექტრონულ აუქციონზე იყიდება. კერძოდ, აუქციონზე გამოტანილია 13 ათას 902 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. ქონების საწყისი ღირებულება 1 მილონ 840 ათსი ლარია.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ ობიექტი შესაძლოა, სასტუმროდ გარდაიქმნას. ელექტრონული აუქციონის პირობების მიხედვით, საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში უნდა მოხდეს. ასევე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 42 თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე,

სასტუმროს შექმნა ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება უნდა მოხდეს. აუქციონზე გამოტანილი ქონების საწყისი ღირებულება 1 840 000 ლარია. აუქციონი 29 ნოემბერს გაიხსნა და 13 დეკემბერს დასრულდება.

15 მაისამდე ბუნებრივ აირს უფასოდ მიიღებენ

ყაზბეგისა **და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯაღმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროღო, აგრეთვე ის სოფლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა, პირველი დეკემბრიდან 15 მაისამდე, თვეში 700 m^3-ის ბუნებრივ აირს უფასოდ მიიღებს. მოსახლეობას ასევე შესაძლებლობა აქვს, მიმდინარე თვეში გამოუყენებელი საშელავათო ბუნებრივი აირი მომდევნო თვეში გამოიყენოს. ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია, შეღავათით მოსარგებლე აბონენტების, სააღრიცხვო ბარათებზე, ყოველი თვის დასაწყისში, შეღავათის შესაბამისი ლიმიტი ასახოს.**

გამოყენებული ბუნებრივი აირის თანხას, გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი ანგარიშების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო აანაზღაურებს. 2020 წლის ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტში, ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ გამოყენებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურებისთვის, 8 მილიონი ლარია გაწერილი. უკვე რამდენიმე წელია, ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა, ბუნებრივი აირის გამოყენებისას შეღავათებით სარგებლობს.

„კირნათი ჰესის“ არეალში მიწები 34 მესაკუთრეს ჩამოერთმევა

აჭარაში, „კირნათი ჰესის“ არეალში მიწები ექსპროპრიაციის წესით 34 მესაკუთრეს ჩამოერთმევა. შესაბამისი ბრძანება საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გამოსცა.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოლაპარაკების წარმოების მიუხედავად, უძრავი ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვასთან დაკავშირებით შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.

ამასთან, სამინისტროში აღნიშნავენ, რომ „კირნათი ჰესის“ ექსპლუატაციაში გასაშვებად აუცილებელია პროექტის არეალში მოქცეული მიწების გამოსყიდვა. ბრძანებაშივე მითითებულია, რომ სახელმწიფოსაგან, ასევე კერძო მესაკუთრეებისაგან უკვე შესყიდულია დაახლოებით 233 მიწის ნაკვეთი.

„კირნათი ჰესის“ მფლობელია შპს „აჭარა ენერჯი 2007“.

„ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა“...

რატომ ვართ გაუნათლებლები?!

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA-ს 2018 წლის ოფიციალური შედეგები საქართველოს განათლების სისტემის შესახებ შემდეგ სურათს იძლევა:

- **ქართველ მოსწავლეებს კვლავ უჭირთ წაკითხულიდან აზრის გამოტანა, აქვთ სუსტი მათემატიკური უნარები და უჭირთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.**
- **ქართველი მოზარდები 15 წლის ასაკში დაახლოებით ისეთივე განათლებას იღებენ სკოლებში, როგორსაც 2009 ან 2015 წლებში იღებდნენ, მეტიც 2015 წლის შემდეგ მდგომარეობა მცირედით გაუარესდა.**
- **ამ ტესტის მონაცემებით საქართველო მაშინაც და ახლაც, საშუალოზე დაბალი მაჩვენებლებით, 70-ზე მეტი ქვეყნის ბოლო ათეულში იკავებს ადგილს.**
- **სიის სათავეში კარგი შედეგებით ჩინეთი, სინგაპური, ესტონეთი, იაპონია და ფინეთია, საქართველოსთან ერთად კი საშუალოზე დაბალი მოსწრების მქონეთა ადგილს იკავებენ აზერბაიჯანი, ყაზახეთი, პანამა, ინდონეზია, მაროკო, კოსოვო და ფილიპინები.**

განათლების სპეციალისტები წლებია, საუბრობენ იმაზე, რომ ეს სფერო პოლიტიკური მოვლენებისგან დამოუკიდებლად უნდა ვითარდებოდეს და მიყვებოდეს სწორად შედგენილ და გრძელვადიან სახელმწიფო პოლიტიკას, იდენტიფიცირებული უნდა იყოს პრობლემები, სწორად დაისახოს მიზნები და ცნობილი იყოს მათი მიღწევის ინსტრუმენტები. პროცესი არ უნდა იყოს დამოკიდებული განათლების მინისტრების ცვლასა და საარჩევნო ციკლებზე. განათლების სპეციალისტებისთვის გასაკვირი არც პიზას ტესტის შედეგები აღმოჩნდა. ის, რომ ქართველი მოსწავლეები როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ კვლევებში საგანგაშოდ დაბალ შედეგებს აჩვენებენ, ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის სიახლე არ არის.

- **რატომ არ გვაქვს პროგრესი განათლების სისტემაში?**
- **რით შეიძლება ვუშველოთ შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას?**
- **რა გაკვეთილს იძლევა პიზას და სხვა ამ ტიპის კვლევების შედეგები?**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **გიგა ზედანია** ვითარებას კატასტროფულთან მიახლოებულად აფასებს და ამბობს, რომ ამ შედეგამდე სასკოლო რეფორმის განუხორციელებლობამ მიგვიყვანა, რომელიც რთული, მტკივნეული და ხანგრძლივი, მაგრამ აუცილებლად გასავლელი ეტაპია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, თუკი გვინდა, როგორც ქვეყანა, შევდგეთ და არ წავართვათ მომავალი მომავალ თაობებს.

„ფუნდამენტური სასკოლო რეფორმის გატარების გარეშე განწირულები სრული წარუმატებლობისთვის ყველა სფეროში, იქნება ეს სამოქალაქო თვითშეგნება, ეკონომიკა, პოლიტიკა თუ კულტურა. შეუძლებელია, ადამიანების იმ კოჰორტებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს, მიეღოთ ნორმალურთან მიახლოებული განათლება, მოახერხონ საკუთარი თავის ჩამოყალიბება, როგორც წარმატებულმა მეწარმეებმა, პოლიტიკოსებმა, ხელოვანებმა, მოქალაქეებმა.

თუ სერიოზული შემოტრიალება არ მოხდა ზოგადი განათლების სფეროში, წარმოუდგენელია, რა მომავალი შეიძლება გვქონდეს. იმისთვის, რომ ქვეყანა შედგეს ქვეყანად, როგორც აუცილებელია, გქონდეს სასამართლო სისტემა, რომელსაც ადამიანები ენდობიან, ასევე აუცილებელია, გქონდეს სასკოლო სისტემა, რომელიც მომავალ მოქალაქეებს აყალიბებს, როგორც ერთი საზოგადოების წევრებს, ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით. ეს იმდენად ელემენტარულია, რომ ამაზე ფოკუსირების გარეშე არაფერი არ გამოვა“ – ამბობს გიგა ზედანია.

კატასტროფულად მიიჩნევს განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობას განათლების სპეციალისტი **რევაზ აფხაზავაც,** რომლის თქმითაც, ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, თუნდაც პოლიტიკური კრიზისი და თუნდაც ეკონომიკური სიდუხჭირე, სწორედ განათლების დონით შეიძლება აიხსნას.

„ეს ერთი მხრივ იმის ბრალია, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკა ამ მიმართულებით გაუმჯობესების და მეორე მხრივ, საზოგადოების მხრიდანაც არ არის დაკვეთა, გვქონდეს უკეთესი განათლების სისტემა. როგორც ყველა საზოგადოებრივი აზრის კვლევა აჩვენებს, ეროვნულ საკითხებს შორის განათლება ყოველთვის ერთ-ერთი ბოლოა ხოლმე პრობლემათა ჩამონათვალში, სამწუხაროდ. ჩვენს საზოგადოებაში განათლება როგორც განვითარების, სოციო-ეკონომიკური სტატუსის ამაღლების, მოქალაქეობის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელისშემწყობ და განმავითარებელ ფაქტორად არ განიხილება. უკეთესი განათლების სისტემის მისაღებად ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ, საზოგადოება როგორ დამოკიდებულებას ვაჩვენებთ მთავრობას განათლების მიმართ, რას ვაყენებთ დღის წესრიგში.“ – ამბობს რევაზ აფხაზავა.

საზოგადოების მხრიდან განათლების საკითხებზე მეტ აქტიურობას საჭიროდ მიიჩნევს გიგა ზედანიაც, რომელსაც მიაჩნია, რომ პრობლემის სიღრმე არც ელიტებს და არც საზოგადოებას კარგად გაცნობიერებული არა აქვთ.

„მიზეზი, რის გამოც ამაზე დისკუსიები არ მიდის, არის ის, რომ ბევრმა ადამიანმა მონახა საჯარო პრობლემის გადაჭრის პრივატული გზა და კერძო სკოლების და სხვა საშუალებების დახმარებით ის ადამიანები, რომლებსაც რესურსები აქვთ, ცდილობენ, საზოგადო პრობლემას გაექცნენ თავისი ოჯახის ფარგლებში. მაგრამ ეს მაინც გვიბრუნდება როგორც საზოგადოებრივი პრობლემა. ჩვენ შეიძლება ერთი მხრივ ჩამოვყალიბდეთ საზოგადოებად, სადაც მარკერი იქნება, სად მიიღო ადამიანმა განათლება და მეორე მხრივ, მივიღებთ ქვეყანას, სადაც კარგი განათლების მქონე ადამიანები არ გაჩერდებიან“ – ამბობს გიგა ზედანია.

შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პიზას 2018 წლის შედეგებისთვის მომზადებულ პრეზენტაციაში ნათქვამია, რომ საქართველოში სხვაობა დაბალი და მაღალი სოციო-ეკონიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებს შორის მაგალითად კითხვაში უფრო მცირეა, ვიდრე OECD-ს ქვეყნებში და რომ ეს სხვაობა 2018 წელს 2009 წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ განათლების სპეციალისტის რევაზ აფხაზავას განმარტებით ეს მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ ჩვენთან მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეების მაჩვენებელიც დაბალია და კარგი განათლების მიღებას ვერც ეს სტატუსი უზრუნველყოფს და არა იმას, რომ სისტემა თანასწორ განათლებას უზრუნველყოფს.

საქართველოში განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს ხშირად ამ სფეროში თანხების სიმწირეს უკავშირებენ ხოლმე, თუმცა ბოლო წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ თანხები ამ სფეროში მზარდია. 2011 წელთან შედარებით განათლებისთვის გამოყოფილი თანხები ორჯერ ნაკლები იყო 2018 წელთან შედარებით.

ის, რომ მხოლოდ თანხების ზრდა პროგრესს არ ნიშნავს, პიზას ტესტების შედეგებიც აჩვენებს, რომელიც ცხადს ხდის, რომ მაგალითად ეკონომიკურად ბევრად სუსტი ესტონეთი უფრო კარგად ვითარდება, ვიდრე ბევრად ძლიერი ბრიტანეთი და გერმანია. როგორც გიგა ზედანია ამბობს, ესტონეთმა განათლების სისტემის გამართვაზე ზრუნვა მაშინვე დაიწყო, როგორც კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვიდა და გრძელვადიან შედეგზე გათვლილმა სწორმა გეგმამ მიიყვანა აქამდე. ესტონეთი კარგი მაგალითია იმისთვისაც, რომ ქვეყნის გამდიდრებას განათლებული მოქალაქეები უზრუნველყოფენ.

ესტონეთის განათლების სისტემის სიკეთეებზე მსჯელობისას სპეციალისტები რამდენიმე საკითხს გამოყოფენ: უფასო განათლების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას ყველასთვის და ონლაინ სწავლების სისტემის დანერგვას, რაც ერთი მხრივ ერთ სივრცეში მასწავლებლის, ბავშვის და მშობლის თავმოყრას უზრუნველყოფს, მეორე მხრივ კი, მოსწავლეებს თანამედროვე უნარ-ჩვევებს უვითარებს.

პიზას ტესტის ანალიზისას მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მისი შედეგები ზომავს არა იმდენად კონკრეტულ დისციპლინებში მოსწავლეების ცოდნას, არამედ მათ მზაობას ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებისთვის. ტესტი ასევე ცდილობს, აჩვენოს მოსწავლის კმაყოფილება სასკოლო ცხოვრებით.

PISA-ს ძირითადი მიზნებია იმის შეფასება, თუ:

- **რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა ის ძირითადი ცოდნა და უნარები, რომელთა ფლობაც აუცილებელია ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ინდივიდის სრულფასოვანი მონაწილეობისთვის;**
- **რამდენად შეუძლიათ მათ ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორც სკოლაში, ასევე მის გარეთ და რამდენად ფლობენ მოსწავლეები ზოგად კომპეტენციებს: დამოუკიდებლად სწავლის, კომუნიკაციის, ადაპტაციის, პრობლემების გადაჭრისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარებს.**

ნასტია არაბული

უძველესი, იდუმალი იმპერიის სასახლის ნანგრევები მდინარე ტიგროსში

მდინარე ტიგროსის ნაპირებთან არქეოლოგებმა ბრინჯაოს ხანის სასახლის ნანგრევები აღმოაჩინეს. როგორც მეცნიერები აცხადებენ, აღმოჩენა სენსაციურია და შეიძლება, სრულიად ახალი დეტალები გაგვაცნოს იდუმალებით მოცული მითანის იმპერიის შესახებ.

ძვ. წ. 1500-1300 წლებში მითანი ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და სირიაზე ბატონობდა, მაგრამ ამ ხალხის შესახებ არცთუ ისე ბევრი რამ ვიცით.



აღმოჩენილ ძეგლს კემუნეს უწოდებენ და მდებარეობს ერაყის ქურთისტანში, მოსულის კაშხალში. არქეოლოგები თითქმის ათი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ქურთ და გერმანელ მკვლევართა ჯგუფმა სასახლე მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც კაშხალში წყლის დონე შემცირდა.

მკვლევრებმა უკვე აღმოაჩინეს 2 მეტრი სისქის შიდა კედლები, თაბაშირის სტრუქტურები და კაშკაშა, კარგად შემონახული კედლის მხატვრობა და აღწერილობის შემცველი თიხის ფირფიტები. იატაკის ფილებად გამოყენებულია გამომწვარი აგური.

არქეოლოგთა განცხადებით, შეიმჩნევა კვალი, რომ სასახლეს ორ სხვადასხვა პერიოდში იყენებდნენ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს შთამბეჭდავი ნაგებობა მითანის იმპერიის საკვანძო სტრუქტურა იყო საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. თავდაპირველად, სასახლე შემაღლებულ, ტალახის აგურისგან ნაგებ ტერასაზე, ტიგროსის აღმოსავლეთ ნაპირიდან 20 მეტრში უნდა მდგარიყო, რომელიც მდინარე ტიგროსის ხეობას გადაჰყურებდა.

გერმანიის ტუბინგენის უნივერსიტეტის არქეოლოგის ივანა პულიცის განცხადებით, ძვ. წ. მეორე ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში კედლის მხატვრობა სასახლეების ტიპური მახასიათებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ დრომდე უიშვიათესმა მათგანმა მოაღწია.

შესაბამისად, კემუნეს ძეგლზე კედლის მხატვრობის აღმოჩენა ნამდვილი არქეოლოგიური სენსაციაა.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სასახლეში აღმოჩენილი თიხის ფირფიტების წარწერების გასაშიფრად. როგორც თავდაპირველი დაკვირვებები მიუთითებს, სასახლე უძველეს ქალაქ ჟახიკუს ეკუთვნოდა, რომელიც ძვ. წ. 1800 წელს დაარსდა და სულ მცირე 400 წლის განმავლობაში იარსება.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ წარწერების გაშიფვრის შემდეგ გაცილებით მეტს შევიტყობთ მითანის იმპერიის პოლიტიკის, ეკონომიკის, აქტივობებისა და ისტორიის შესახებ. აღზევების პიკში მითანის იმპერია გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან თანამედროვე ჩრდილოეთ ერაყამდე.

უძველეს ჩანაწერებზე დაყრდნობით, ისტორიკოსებმა უკვე იციან, რომ მითანის სამეფო კარი ეგვიპტის ფარაონებთან ისე ურთიერთობდა, როგორც თანასწორებთან. თუმცა, მითანის შესახებ მაინც გაცილებით ცოტა რამ ვიცით, ვიდრე მის მეზობლებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი სხვა ქვეყნებისა და ცივილიზაციების წყაროებიდან გვაქვს.

არქეოლოგ ივანა პულიცის განცხადებით, მითანის იმპერია ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი უძველესი ახლო აღმოსავლეთის იმპერიებს შორის.

მომზადებულია uni-tuebingen.de-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

ადამიანი-ცხოველის ჰიბრიდების ექსპერიმენტები გრძელდება

ღერღვანი უჯრედების ბიოლოგი ჰირომიცუ ნაკაუჩი ამ მომენტს ათ წელიწადზე მეტ ხანს ელოდა. წლობით დაგეგმვის შემდეგ, შეუპოვარმა მკვლევარმა მთავრობისგან მიიღო ნებართვა, ჩაატაროს ერთ-ერთი ყველაზე საკამათო კვლევები — ადამიანისა და ცხოველის ჰიბრიდის ემბრიონის ექსპერიმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავს ექსპერიმენტებს ეთიკური თუ სხვა მიზეზების გამო მსოფლიოს მრავალი ქვეყანა კრძალავს, იაპონიამ ეს გადაწყვეტილება მიიღო და შესაძლოა, პანდორას ყუთიც გახსნას!

ჰირომიცუ ნაკაუჩი ტოკიოსა და სტენფორდის უნივერსიტეტების ღეროვანი უჯრედების წამყვანი მკვლევარია. იგი ქვეყნიდან ქვეყანაში დადიოდა იმ ოცნებით, რომ დადგებოდა დღე, როცა ადამიანის ორგანოებს ისეთ ცხოველებში გამოზრდიდა, როგორებიც არიან მაგალითად, ცხვარი ან ღორი.

მხოლოდ აშშ-ში ორგანოების გადანერგვის საჭიროების მქონე პაციენტთა სიაში 116 000-ზე მეტი ადამიანია, რომლებიც რიგს ელოდებიან; ნაკაუჩი იმედოვნებს, რომ მისი იდეა ცხოვრებას შეცვლის.

მსგავსი ექსპერიმენტები იაპონიაში 2014 წლიდან იყო აკრძალული და ნაკაუჩი პირველი მეცნიერია, რომელმაც ეს ნებართვა მიიღო. გეგმის განხორციელებას იგი ნელა, გულდასმით გეგმავს, რათა პარალელურად დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი.

ექსპერიმენტები დაიწყება თაგვისა და ვირთხის ემბრიონებში ადამიანის ინდუცირებული პლურიპოტენციალური ღეროვანი უჯრედების შეყვანით. ყველაფერი გენეტიკურად ისე იქნება მოდიფიცირებული, რომ მათ არ ჩამოუყალიბდეთ პანკრეასი.

მისი მიზანია, მღრღნელების ემბრიონებმა გამოიყენონ ადამიანის უჯრედები, რათა თავად შექმნან პანკრეასი. ჯგუფი გეგმავს, ორი წლის განმავლობაში დააკვირდეს მღრღნელების ზრდა-განვითარებას, ამ პროცესში ფრთხილად ამოწმოს მათი ორგანოები და ტვინები. მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვენ მკვლევრები იგივეს ჩატარების ნებართვას ღორებზე.

ადამიანისა და ცხოველის ჰიბრიდული ემბრიონები აქამდეც არის შექმნილი, მაგალითად, ღორისა და ადამიანის, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მეცნიერებს არ მიეცათ ემბრიონების ბოლომდე განვითარების ნებართვა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი საშიშროება მსგავს კვლევებთან მიმართებაში არის ის, რომ არ იციან, ზუსტად სად გადავა ადამიანის ღეროვანი უჯრედები ცხოველში და რა ტიპის უჯრედებად გარდაიქმნება ისინი მას შემდეგ, რაც ემბრიონებში შეიყვანენ.

ნაკაუჩი და მისი ჯგუფი მხოლოდ პანკრეასზეა ფოკუსირებული, მაგრამ თუკი დააფიქსირებენ, რომ მღრღნელების ტვინის 30 პროცენტზე მეტი ადამიანისაა, ისინი ექსპერიმენტს შეწყვეტენ. ეს გახლავთ მთავრობის მოთხოვნა, რათა თავიდან ავიცილოთ „ჰუმანიზებული“ ცხოველის შექმნა.

მომზადებულია stanmed.stanford.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

საფრანგეთის ალპებში რუსი ჯაშუშების ბაზა აღმოაჩინეს



ფრანგული „ლე მონდი“ იუწყება, რომ საფრანგეთის ალპებში რუსი ჯაშუშების ბაზა აღმოაჩინეს. როგორც გამოცემა წერს, 15 რუსი ჯაშუში სწორედ საფრანგეთის ალპებიდან აწყობდა ოპერაციებს მთელ ევროპაში. „ლე მონდის“ მტკიცებით, ჯაშუშები რუსეთის სამხედრო დაზვერვის ელიტური ქვედანაყოფის თანამშრომლები არიან. სტატიაში ნათქვამია, რომ აღნიშნულ ბაზაზე მომუშავე პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ შეკვეთილ მკვლელობებზე, საბოტაჟის აქტებზე და ე.წ. მკვდარი საფოსტო ყუთების სისტემის მუშაობაზე, რომლითაც საიდუმლო აგენტები ერთმანეთს ეკონტაქტებიან.

როგორც იუწყებიან, რუსი ჯაშუშებიდან ერთ-ერთი სოლსბერიში სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მოწამვლის საქმესთან არის დაკავშირებული. ევროპის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა საფრანგეთის ალპებში მდებარე რუსი ჯაშუშების ბაზა სწორედ სკრიპალების საქმის გამოძიების ფარგლებში აღმოაჩინეს. „ლე მონდის“ ცნობით, 2014-დან 2018 წლამდე პერიოდში რუსი ჯაშუშები საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე არაერთ პატარა ქალაქში შენიშნეს, მათ შორის, შამონსა და ევიანში. როგორც ფრანგული გამოცემა წერს, აღნიშნული პირები მუშაობდნენ ბულგარეთში, მოლდოვაში, მონტენეგროსა და სხვა ქვეყნებშიც.

შეგახსენებთ, რომ 4 დეკემბერს გერმანიამ ორი რუსი დიპლომატი გააძევა. ამის მიზეზი ბერლინში საქართველოს მოქალაქე ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაა. გერმანიის საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ აღნიშნულ ზომას მიმართეს, რადგან მოსკოვი ხანგოშვილის გამოძიებაში თანამშრომლობაზე უარს ამბობს.

მედვედევი 10 წელიწადია, ერთსა და იმავეს ამბობს!

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებას თავისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე რთული გადაწყვეტილება უწოდა. რუსული მედიის ცნობით, ამის შესახებ მედვედევმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ეს ძალიან რთული იყო, თუმცა მოვლენათა განვითარებამ გვაჩვენა, რომ ეს ერთადერთი და გარდაუვალი გადაწყვეტილება იყო“...

ისევც ცხვირი დაგიმშვენდეს, პუტინის სათამაშო თოჯინავ!

აფეთქება სათხილამურო კურორტზე

პოლონეთის ერთ-ერთ სათხილამურო კურორტზე, საცხოვრებელ სახლში მომხდარ აფეთქებას ხუთი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ორი ბავშვია. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქება ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია.

ინციდენტის შედეგად ჩამოინგრა სამსართულიანი სახლი. ადგილზე მობილიზებულია 100-ზე მეტი მაშველი და 50-მდე სამართალდამცველი.

◎ ტრიუმფი

ლუკა შონია მსოფლიოს ჩემპიონია!

20 წლის ქართველმა სპორტსმენმა ლუკა შონიამ საერთაშორისო კიკბოქსინგის ორგანიზაციის — WAKO-ის ეგიდით გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. თურქეთის ქალაქ ანტალიაში დასრულებულ ფორუმზე მან -67 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა და 4 შეხვედრის მოგებით საპატიო ტიტულს დაეუფლა. ანგოლელი, რუსი და უკრაინელი მეტოქეების დამარცხების შემდეგ ქართველმა კიკბოქსიორმა ფინალში ყაზახ ნურსულთან ხასანოვს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

საერთაშორისო კიკბოქსინგის ორგანიზაცია — WAKO აღიარებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ორგანიზაცია სოკ-თან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს კიკბოქსინგის ოლიმპიურ პროგრამაში შეტანასთან დაკავშირებით.

დავძენთ, რომ ჩვენს ეროვნულ ფედერაციას უკვე კარგახანია ნაყოფიერად უძღვება გოჩა ჯავახია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ღვაწლი

ქართველი დედოფლები

მონაკოში პირველად გაიმართა ევროპის საჭადრაკო კავშირის (პრეზიდენტი — ზურაბ აზმაიფარაშვილი) მიერ დაწესებული და ორგანიზებული „ოქროს პაიკის“ დაჯილდოება.

გაგაცნობთ ნომინაციებში გამარჯვებულებს:

საუკეთესო ევროპული წიგნი: რუბენ დავიდ გონსალეს გალეგო — „ჭადრაკი“;

საუკეთესო ევროპული ფილმი: „ჭადრაკის პარტია“ 1994 წელი, დენის ლავანტი,პიერ რიშარი, კატრინ დენევი;

საუკეთესო ევროპული გამოცემა: „New In Chess“;

საუკეთესო ევროპელი საჭადრაკო ჟურნალისტი: ლეონჩო გარსია;

საუკეთესო ევროპელი საჭადრაკო ორგანიზატორი: ბესელ კოკი;

საუკეთესო ევროპული საჭადრაკო პროექტი: ფედერიკ ფრიდელი;

საუკეთესო ევროპელი არბიტრი: გერტ გისენი;

ევროპაში, „ჭადრაკი სკოლაში“ განვითარების პიონერი: ალექსანდრ კოსტენევი

ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ევროპელი მსოფლიო ჩემპიონი: მაია ჩიბურდანიძე;

ჭადრაკი — ცხოვრების აზრი: ნონა გაფრინდაშვილი;

ევროპის საჭადრაკო ლეგენდა (ქალი): იუდიტ პოლგარი;

ევროპის საჭადრაკო ლეგენდა (ვაჟი): გარი კასპაროვი

ბეჟან დოლიძე

◎ კარატე

მზეჭაბუკის გაბრწყინება

ამ დღეებში კიევში გაიმართა უკრაინის საერთაშორისო ჩემპიონატი კარატეში, რომელიც იქაური შოტოკან კარატეს ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული. ამ ტურნირზე 20-მდე ქვეყნის 500-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის — ქართველი კარატისტები.

მათგან მზეჭაბუკ მახარაძემ 2 ოქროს მედალი მოიხვეჭა უფროსი კატეგორიის ინდივიდუალურ კატაში.

უკრაინის საერთაშორისო ტურნირებზე ის 2000 წლიდან რეგულარულად აღწევს წარმატებებს და მოპოვებული აქვს ყველა სინჯის: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები, საერთო ჯამში — 30-მდე მედალი.

მზეჭაბუკ მახარაძე არის კარატეში მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი, V დანის მფლობელი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ერთი გოლის ფასი

წყალტუბელთა ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტურში თბილისის „დინამომ “ გერმანულ „ჰანოვერს“ უმასპინძლა და ძალიან ახლოს იყო პირველი მატჩის მოგებასთან. საერთოდ, B ჯგუფში მეტოქეებს ხუთი ტურის თავზე ქულაც არ ჰქონდა მოპოვებული და ორივესთვის იდეალური შანსი იყო, რომ პირველი გამარჯვება ეზეიმათ.

რევაზ ჩომახიძის გუნდი თითქმის მთელი თამაში ფლობდა უპირატესობას, ანგარიშშიც წინ იყო, მაგრამ ბოლოს წარმატებული მაინც გერმანელები გამოვიდნენ. მთლიანობაში დაძაბული შეხვედრა გამოდგა და ყველაზე დიდი სხვაობა პირველ პერიოდში დაფიქსირდა, როდესაც „დინამო“ ორბურთიანი სხვაობით (3:1) დაწინაურდა, მერე კი თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა.

„ჰანოვერი“ პირველად მეოთხე პერიოდში გავიდა წინ, როდესაც რეალმა ანგარიში10:9 გახადა, ხოლო გადამწყვეტი ბურთი საფინალო სასტვენამდე წუთითა და 11 წამით ადრე ივან ნაგაევმა გაიტანა და „ჰანოვერმა“ 11:10 მოიგო.

შედეგად, ჯგუფში „დინამო“ ერთადერთი უქულო გუნდია და უკანასკნელ მერვე ადგილზეა. თბილისელები მომდევნო შეხვედრას 9 დეკემბერს იტალიაში „პრო რეკოსთან“ ჩაატარებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ტრადიცია

შესანიშნავი შვიდეული

ვის არ უნახავს ჰოლივუდის შედევრი გენიალური იულ ბრინერის მიერ განსახიერებული უკვდავი გმირით მთავარ როლში, მაგრამ ამჯერად თანამედროვე საქართველოს სტუდენტური სპორტის უმთავრეს პრიორიტეტზე — ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და აღნიშნულ საშვილიშვილო საქმეში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამოაზრე მესვეურთა „შესანიშნავი შვიდეულის“ ძალისხმევით შეტანილ განსაკუთრებულ წყვილზე გვსურს გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება, რომელიც სამაგალითოდ მოღვაწეობს მომავალ მედიკოსთა ფიზიკურად გასაკაჟებლად.

დიახ, სწორედ ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ვიცე-რექტორს, პროფესორ ირაკლი კოხრეიძეს, კანცლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძეს, თვითმმართველობის პრეზიდენტ ანა კაკაბაძეს, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის უფროს მიხეილ დიაკონიძეს, სპორტის ცენტრის დირექტორ ზაურ ფხალაძესა და ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, მოწოდებით — ყველა ტურნირის მთავარ მსაჯ ვახტანგ ბაქანიძეს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მათი თანამშრომლობით, ტრადიციისამებრ, უმაღლეს ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა ფეხბურთში ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის გელა კეტაშვილის სახელობის ტურნირი სტუდენტთა 16 გუნდის მონაწილეობით.

გადამწყვეტი შეხვედრები ასე დასრულდა:

ნახევარფინალები: „მფრინავი ჰოლანდიელები“ — „მკურნალები“ 5:4, „ლომები“ — „რეაბილიტაცია“ 3:2.

მატჩი მესამე ადგილისთვის: „რეაბილიტაცია“ — „მკურნალები“ 2:1.

ფინალი: „მფრინავი ჰოლანდიელები“ — „ლომები“ 5:4 (დამატებით დროში, ძირითადი დრო — 4:4).

საგულისხმოა, რომ ყველა ინდივიდუალური პრიზის მფლობელები მედიცინის ფაკულტეტის მოთამაშეები გახდნენ:

საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი — გეგი ბაქრაძე (II გოლი, III კურსი);

საუკეთესო მეკარე — თორნიკე ფუტკარაძე (II კურსი);

ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი — გიგი გზობავა (II კურსი)

გიორგი ზოთაძე

საღარბაზო ბარათი

გელა კეტაშვილი დაიბადა 1965 წლის 27 სექტემბერს. „ნორჩი დინამოელის“ აღზრდილი თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“, თბილისის „იბერია — დინამოში“, ლანჩხუთის „გურიასა“ და დედაქალაქის „თეთრ არწივში“.

როგორც ეროვნული ნაკრების პირველი კაპიტანი, არის ლიტვასთან ისტორიული სადებიუტო მატჩის მონაწილე.

1985 წელს ნახევარფინალში გასული საკავშირო ნაკრების მაისურით ითამაშა სამშობლოში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში, სადაც 6-დან 5 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

მისი კარიერის მწვერვალად სამართლიანად ითვლება 1988 წელს სეულში თანამემამულე ფეხბურთელთაგან მოპოვებული პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ოლიმპიური ოქროს მედალი. აღსანიშნავია, რომ კორეის სტადიონებზე ანატოლი ბიშოვეცის გაწვრთნილმა გუნდმა ისეთი გრანდები დაამარცხა, როგორიცაა არგენტინა (ჯგუფში — 2:1), იტალია (ნახევარფინალში — 3:2) და ბრაზილია (ფინალში — 2:1), რომლის ღირსებასაც რომარიო, ბებეტო, ჟორჟინიო, ტაფარელი და მაზინიო იცავდნენ.

ჩვენი საამაყო თანამედროვე ორჯერ — 1988 და 1989 წლების სეზონში დაასახელეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში.

ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი შარშან დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

სერჟ სარგსიანს მილიონ დოლარზე მეტს ედავებიან...

სომხეთის ყოფილ პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვაში ედება ბრალი. ამის შესახებ ინფორმაციას სომხეთის სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, სერჟ სარგსიანმა 2013 წლის 25 იანვრიდან 7 თებერვლამდე მონაკვეთში სახელმწიფოს კუთვნილი 489,16 მილიონი დრამი მიითვისა, რაც 1 მილიონზე მეტი დოლარია. გამოძიების ცნობით, ეს თანხა ფერმერებისთვის დიზელის საწვავის სუბსიდირებისთვის იყო განკუთვნილი. სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში კი იმ კომპანიამ გაიმარჯვა, რომელსაც სომხეთის ყოფილ პრეზიდენტთან კავშირები ჰქონდა. სერჟ სარგსიანს სომხეთის პრეზიდენტის თანამდებობა 2008 წლიდან, 10 წლის განმავლობაში ეკავა.

მიიღებს ანა აკოფიანის მიწვევას მეჰრიბან ალიევა?

სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის მეუღლე აზერბაიჯანის პირველ ლედის მთიან ყარაბაღში ეპატიჟება. ანა აკოფიანი მეჰრიბან ალიევას ტელეგრამ-პოსტს გამოეხმაურა, სადაც აზერბაიჯანის პირველი ვიცე-პრემიერი და პირველი ლედი წერდა, რომ მისი ოცნება მთიან ყარაბაღში ეროვნული მუსიკის „მუღამის“ მოსმენა იყო.

სომხეთის პრემიერის მეუღლის თქმით, თუ მეჰრიბან ალიევა მიწვევას მიიღებს, თავადაც მზად არის, აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩავიდეს. „მეჰრიბამ ალიევამ თქვა, რომ მთიან ყარაბაღში „მუღამის“ მოსმენაზე ოცნებობს, თუმცა, თუ ის ომს გულისხმობდა, ოცნება აუხდენელი დარჩება. თუ ისინი ომს დაიწყებენ, გაჩნდება სხვა ტერიტორიებიც, სადაც „მუღამს“ ვეღარ მოისმენენ,“ — აღნიშნა ანა აკოფიანმა.

მილიონობით დოლარს სახლში მალავდა

თურქმენეთში დაკავებულ ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ ისკენდერ მულიკოვის სახლიდან რამდენიმე მილიონი დოლარი, ასევე დიდი რაოდენობით ძვირფასეულობა ამოიღეს. შესაბამისი კადრები ქვეყნის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა.

მულიკოვი მინისტრის პოსტს 2009 წლიდან იკავებდა. მიმდინარე წლის პირველ ოქტომბერს გენერალური პროკურორის ანგარიშის საფუძველზე პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა ის თანამდებობიდან გაათავისუფლა. მულიკოვს ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით და არაერთგზის ქრთამის აღება. ტელევიზიის ეთერში ყოფილი მაღალჩინოსნის ინტერვიუ გავიდა, სადაც ის ჩადენილ დანაშაულს აღიარებს და ინანიებს.

დანართი №1 (6 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2019 წლის „05 დეკემბრის“
№ 01-01-3/390 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი ხიჭაური	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	5 000 m^3	84,00	230,00
2	ქ.ბათუმი, ადლიის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 000 m^3	17,00	205,00
3	ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ.N7	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო	P_2	5 წელი	1 825 m^3	31,00	210,00
		დანიშნულებით					
4	ქ.ბათუმი, ფანასკერტელ-ციციშვილის ქ.N18	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 095 m^3	19,00	205,00
5	ქ.ბათუმი, კახაბრის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	18 500 m^3	310,10	300,00
6	ქ.ბათუმი, ტბეთის ქ.N 3	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	18 250 m^3	306,00	300,00
7	ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ.N97	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	5 წელი	18 500 m^3	310,10	300,00
8	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N48	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 850 m^3	31,00	210,00
9	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ .N247	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	18 250 m^3	306,00	300,00
10	ქ.ბათუმი, ჩხაიძის ქ. N3	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	2 000 m^3	34.00	210,00
11	ქ.ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, კოწია ერისთავის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	6 000 m^3	101.00	230,00
12	ქ.ბათუმი, კოწია ერისთავის ქ.N29^{ა3}	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	60 000 m^3	1006,00	450,00
13	ქ.ბათუმი, ლეონიძის ქN29	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	99 500 m^3	1668,00	700,00
14	ქ.ბათუმი, სოფელ მეჯინისწყლის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	10 950 m^3	184,00	255,00
15	ქ.ბათუმი, სოფელ კახაბრის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P2	5 წელი	10 950 მ3	184,00	255,00
16	ქ.ბათუმი, სოფელ გონიოს დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	10 950 m^3	184,00	255,00
17	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ოჩხამური, სოფელი ცეცხლაური	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	14 600 m^3 ორ ჭაბურღილზე	245,00	274,00
18	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ.N 3ა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	60 000 m^3 ორ ჭაბურღილზე	1006,00	500,00
19	ქ.ბათუმი, ბაგრატიონისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	700 m^3	12,10	204,00

20	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ..N3ᵃ	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	30 000 მ³	503.00	350.00
21	ქ.ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	30 000 მ³	503.00	350.00
22	ქ.ბათუმი, ჭოროხის ქ.N19	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	50 000 მ³	838,05	400,00
23	ქ.ბათუმი, კოწია ერისთავის ქ.N21	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	473 040 მ³	7 929,00	2 200,00
24	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის შესახვევი N8	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	99 000 მ³	1 660,00	600 ,00
25	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	96 000 მ³	1 609,05	700,00
26	ქ.ბათუმი, ოპიზრების ქ.N67	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	10 000 მ³	168,00	260,00
27	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ.N114	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P2	5 წელი	1 825 მ3	31.00	210,00
28	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N42ᵇ	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	3 650 მ³	62,00	220,00
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის			ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი				
			ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.				
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება			აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო				
საიდენტიფიკაციო ნომერი			245429200				
მისამართი/ტელეფონი			ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10				
სარგებლობის ლიცენზიის სახე			სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია				
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 05 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 09 იანვარს დღის 18.00 საათზე				
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			ელექტრონული აუქციონი იწყება 2020 წლის 09 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 09 იანვარს დღის 18.00 საათზე				
სხვა მონაცემები			აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში				

კიმ ჩენ ინი მთა პექტუსანისკენ მიემართება

თითქმის ორი თვის შემდეგ მედიაში ისევ გავრცელდა ჩრდილოეთ კორეის ლიდერის, თეთრი ცხენით მოჯირითე კიმ ჩენ ინის ფოტოები. ფოტოები მთა პექტუსანისკენ მიმავალ გზაზე, ჯირითობას ასახავს, რაც კიმ ჩენ ინისთვის სიმბოლურია. მის ამ საქციელს ყოველთვის მოსდევს მნიშვნელოვანი განცხადებები. ფოტოებზე ის მეუღლესთან და უმაღლეს სამხედრო თანამდებობის პირებთან ერთად არის გადაღებული.

მთაზე ცხენებით ბოლო გასეირნების პარალელურად მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ თვის ბოლოს კიმ ჩენ ინი მმართველ პარტიას შეხვდება, სადაც „ქვეყნის შიგნით და გარეთ შეცვლილ ვითარებას“ განიხილავს. თუმცა კიმ ჩენ ინს არ დაუკონკრეტებია, ზუსტად რა საკითხებზე ისაუბრებს. კიმ ჩენ ინმა აშშ-ს ბირთვული მოლაპარაკებების გადასარჩენად მეტი დათმობებისთვის ვადა წლის ბოლომდე მისცა. სამშაბათს ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ აშშ-მა უნდა აირჩიოს, რა სახის „საშობაო საჩუქარს“ მიიღებს ფხენიანისგან.

გაამართლებს „ქართული ეფექტი“ უკრაინაში?

ვლადიმერ ზელენსკის ინიციატივით, რადაში კანონპროექტი შედის, რომლის განხილვა ქართული კანონმდებლობის მსგავსად უნდა მოხდეს. ზელენსკის საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, ე.წ. „კანონიერი ქურდის“ სტატუსი, მისდამი მიმართვა და ქურდული შეკრებები სისხლის სამართლის დანაშაული ხდება. თავის დროზე „ქართულ ეფექტად“ წოდებული ინიციატივის მიხედვით, ე.წ. „კანონიერი ქურდის“ დაპატიმრება მოხდება მაშინაც, როცა მას დანაშაული არ აქვს ჩადენილი.

შეგახსენებთ, ბოლო პერიოდში უკრაინაში რამდენიმე ე.წ. „კანონიერი ქურდი“ დააკავეს და უკრაინული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ისინი მხოლოდ ქვეყნიდან გააძევეს. მათ შორის იყო რამდენიმე ქართველი „კანონიერი ქურდიც“.

ალტერნატიული ნობელის პრემია გრეტა ტუნბერგს

Right Livelihood Award-ის პრემია, რომელიც ასევე ალტერნატიული ნობელის სახელით არის ცნობილი, შვედ ეკოაქტივისტ გრეტა ტუნბერგს გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონია სტოკჰოლმში გაიმართა. როგორც 16 წლის მოსწავლე Twitter-ზე წერს, ამ პრიზს არ მოელოდა, თუმცა მისი მიღებით ძალიან გახარებულია. გრეტა ტუნბერგის გარდა სხვა აქტივისტებიც დაჯილდოვდნენ. Right Livelihood Award-ის პრემია 1980 წელს დაარსდა და ის ყოველწლიურად იმ ადამიანებს გადაეცემათ, რომლებიც კრიზისების დარეგულირებისთვის და კულტურული ღირებულებების განვითარებისთვის იბრძვიან.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავენ საიუბილეო თარიღს (5 დეკემბერი) დაბადებიდან 85 წლისთავს ამავე საზოგადოების წევრს, საქართველოს მშენებელთა ბრწყინვალე საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენელს, საკავშირო სამშენებლო ტრესტის „საქელექტრომონტაჟ-რემმშენის“ ყოფილ თავკაცს, მეგობრობის, ძმობისა და ქართული ტრადიციული სუფრის უბადლო ოსტატს, დიდებულ მამულიშვილსა და უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ

ომარ ცაავას.

ჯუზეპე ვერდის „მაკბეტი“ თბილისის ოპერის თეატრში

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 14 დეკემბერს მორიგი პრემიერაა. ჯუზეპე ვერდის ოპერის „მაკბეტის“ ეს ვერსია 2018 წელს, ვერდის ფესტივალზე სახელგანთქმულმა იტალიელმა რეჟისორმა დანიელე აბადომ (უდიდესი მაესტროს კლაუდიო აბადოს შვილი) ტეატრო რეჯო დი პარმასთვის დადგა.

„მაკბეტის“ მსოფლიო პრემიერა 1847 წლის 14 მარტს ფლორენციის თეატრში La Pergola-ში შედგა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის ოპერა „მაკბეტი“ კი პირველად 1868 წლის 10 თებერვალს დაიდგა. ბოლოს სპექტაკლი 2002 წლის 20 დეკემბერს წარმოადგინეს. ახალი სპექტაკლი ასევე 15, 18, 21, 22 დეკემბერს იქნება წარმოდგენილი.

ამჯერადაც ღირსეულად!..

გუშინ „შევარდენის“ სტადიონზე 19-წლამდელ მორაგბეთა მე-2 ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გაიმართა – საქართველოს ნაკრებმა სამხრეთაფრიკელ თანატოლებს უმასპინძლა. ამ გუნდების პირველი შეხვედრა 2 დეკემბერს სტუმართა გამარჯვებით დასრულდა – 28:21, არადა, ერთ მომენტში უმცროსი „ბორჯღალოსნები“ წინ იყვნენ – 18:14.

განმეორებითი ორთაბრძოლაც დაძაბული და დრამატული გამოდგა. თუმცა, სამხრეთაფრიკელები ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. პირველი ტაიმი მათ 26:12 მოიგეს. მართალია, შესვენების შემდეგ ქართველმა მორაგბეებმა უკეთ ითამაშეს და შეხვედრის ამ მონკვეთში მეტოქეს 21:14 აჯობეს, მაგრამ საბოლოო წარმატების მისაღწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – ჩვენები 33:40 დამარცხდნენ. წაგების მიუხედავად, საქართველოს ნაკრებისთვის ორივე პაექრობა სასარგებლო იყო ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად.

გივი გაგუა

სს „თბილისის მონოლითმშენი“ აცხადებს, რომ 2019 წლის 25 დეკემბერს 17 საათზე ქ. თბილისში, წერეთლის გამზირი №57-ში გაიმართება სააქციო საზოგადოების საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2018 წლის შედეგები;
2. სხვადასხვა.

სს „თბილისის მონოლითმშენის“ ადმინისტრაცია

◎ შეუცნობელი სამყარო

2020 წლის მთავარი კოსმოსური მოვლენები...

2020 წელს კოსმოსის მოყვარულებისთვის სასიამოვნო წელი იქნება, იმიტომ რომ რამდენიმე ასტრონომიული მოვლენის ნახვას შეძლებენ. მზის დაბნელება 2020 წელს ორჯერ მოხდება, ერთხელ ნახევრად — 21 ივნისს, ხოლო 14 დეკემბერს მზის სრულ დაბნელებას უნდა ველოდოთ. რაც შეეხება მთვარეს, შემდეგ წელს მთვარის ოთხი დაბნელებაა მოსალოდნელი. ამის შესახებ Deutsche Welle-ს რუსული გამოცემა წერს.

მთელი წლის განმავლობაში, დედამიწიდან შესაძლებელი იქნება მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტის ნახვა. გაზაფხულზე, საღამოს საათებში ადამიანები ვენერას ხილვას შეძლებენ, რომელიც მზისა და მთვარის შემდეგ ყველაზე კაშკაშაა, ის კარგი ამინდის პირობებში დღისითაც გამოჩნდება. აპრილის ბოლოს ვენერა სიკაშკაშის მაქსიმუმს მიაღწევს და მაისის ბოლომდე „სცენას დატოვებს“, თუმცა ივნისის დასასრულს გამთენიისას ისევ იქნება მისი დანახვა შესაძლებელი. ვენერა განსაკუთრებით კაშკაშა და მკვეთრი 10 ივლისს იქნება, ამის შემდეგ კი ის წლის ბოლომდე დარჩება დილის „ვარსკვლავად“.

მარსის ნახვა შესაძლებელი იქნება წლის დასაწყისში დილის საათებში, ხოლო ივნისიდან – ღამის მეორე ნახევარში. წითელი პლანეტა განსაკუთრებით შესამჩნევი შემოდგომას იქნება: 14 ოქტომბერს მარსის ხილვას ადამიანები მთელი ღამის განმავლობაში შეძლებენ. ოქტომბრის პირველ კვირაში მარსი განსაკუთრებით დაუახლოვდება დედამიწას – ორ პლანეტას შორის მანძილი მხოლოდ 62 მილიონი კილომეტრი იქნება.

იუპიტერი და სატურნი ცაზე გაზაფხულზე გამოჩნდებიან. თავდაპირველად მათზე დაკვირვება დილით იქნება შესაძლებელი, ივლისის ჩათვლით კი ორი გიგანტი პლანეტა მთელი ღამის განმავლობაში გამოჩნდება ცაზე. 2020 წლის 21 დეკემბერს პლანეტები იმდენად დაუახლოვდებიან ერთმანეთს, რომ დედამიწიდან ისინი ერთიან ვარსკვლავად გამოჩნდებიან.

მოუხელთებელი მერკური დედამიწაზე 2020 წელს სულ რამდენჯერმე გამოჩნდება.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ვარსკვლავების ცვენის დროს სურვილების ჩაფიქრების მოყვარულმა ადამიანებმა განსაკუთრებით უნდა ადევნონ თვალი 2020 წლის აგვისტოს და ნოემბრის ცას.

სხვა კალენდარულ ფაქტებს რაც შეეხება, 2020 წლის 5 იანვრის დილას, დედამიწა წამში 30 კილომეტრი სიჩქარით იმოძრავებს, რაც ნიშნავს – მაქსიმალურად მიუახლოვდება მზეს. პერიჰელიონის დროს დედამიწასა და მზეს შორის მანძილი 147,09 მილიონი კილომეტრი იქნება, რაც საშუალოდ არსებულ მანძილზე 2.5 მილიონი კილომეტრით ნაკლებია.

ასტრონომიულად გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი დაიწყება 20 მარტს, 20 ივნისს, 22 სექტემბერს და 21 დეკემბერს.

2020 წელს თებერვალი 28 დღის ნაცვლად 29-დღიანი იქნება, შესაბამისად 2020 წელს დღეების რაოდენობა 366-ით განისაზღვრება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ უეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9573; ევრო - 3.2746;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8572;
100 რუბლი - 4.6197; თურქული ლირა - 0.5150;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7388;
1000 სომხური დრამი - 6.1884

ამინდი 5 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-5,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+9
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge